

832
1951

რვაენი

ფრთვა

“NOTRE DRAPEAU”

Directeur: MICHEL STOUROUA.

N° 9

პარისი

მ ა ს ბ ი

Paris.

1951

დრონი მირბიან, გარამოებანი იცვლებიან, აზროვნებანი სხვაედებიან. არ იცვლება მხოლოდ ერთი გარამოება, ერთი აზროვნება, ერთი მახსოვრობა. ეს მუდმივი, ურყევი გარამოება არის 26 მაისი, დღე ქართველი ერის აღდგომის, ამალღების და მსოფლიოში თავისი სახით გამოსვლის.

26 მაისი არის ჩაქვილი თვითეული ქართველის სულსა და გულში, მთელ ქართველ ერში და უცდის შესაფერ მდგომარეობას მის აღსადგენათ და თავის დროშათ ასაფრიალებლათ.

26 მაისის განხორციელება მოხდა ქართველობის ერთხმით, მისი ყველა კლასის და წოდების თანხმობით. ამ ნიადაგზე დადკა ერი გაერთიანებული, მოკლებული შინაგან უთანხმობებსა და ერთიმეორის წინააღმდეგ დაპირდაპირებას.

ისტორიულ წარსულში ყველა გაჭირებულ მდგომარეობიდან ჩვენი ერი გამოდიოდა შინაგანი შეთანხმებით, ერთსულვანებით, ერთი აზროვნებით. ის იყო და არის გაჭირების ამტანი, თავის საერთო ნაციონალური სულისკვეთების შემნახველი. ეს ერთობა შეირყა მხოლოდ ერთხელ—რუსეთის პირველი შემოსევის დროს გასული საუკუნის დასაწყისში. არ შერყეულა მეორეთ შემოსევის დროს. ამ 30 წლის წინეთ.

ეს მთლიანობა, ეს ფუძე დაირღვევა მხოლოდ მაშინ როცა ქართველობის მთლიანობა დაირღვევა და მისი ნაწილები ერთიმეორეს შეებრძოლება.

26 მაისი არის გამოხატულება ერის ერთობის, მტერის წინააღმდეგ ამართული ერთადერთი სიმაგრის. მის ირგვლივ თავის მოყრის და მით საბოლოათ გამარჯვების. დიდი ნაციონალური საქმე არ გაკეთდება შინაგანი ბრძოლის გაჩაღებით. ეს არის მუშაობის ხაზი მოლაღატეების, გარეშე მტერის გამაგრების და პატარა ერის წაქცევის. ჩვენი ერი ამ ხაზს არ გაყვა, არ მიემხრო მოსკოვის ქართველ აგენტებს, არ დაივიწყა თავისი თავი, თავისი 26 მაისი.

ხალხს უნდა ქონდეს სიმზნევე და რწმენა თავის თავში, თავის სავალ გზაში. გასაჭირში თავის რწმენის და ენერჯის შენახვა არის საფუძველი მისი ხანგრძლივობისა; დაუჭვება, ბატონების სულიერი მორჩილება ანგრევს ერს, ხალხს და სწორედ ამ გადახრას, წაჯექ-უკუჯექობას ებრძვის 26 მაისი, ეს არის სულიერი ლამპარი.

26 მაისი განხორციელდა მრავალნაირი საქმიანობით, მოხდა ცვლილება ცხოვრების ყველა დარგში, შეიქმნა ახალი თავისუფალი საქართველო, თანხმობით და ერთათ დგომით. ეს ახსოვს ქართველ ხალხს, მას ვერ დაივიწყებს, და რჩება მისი ერთგული.

26 მაისი ქართველი ერის ერთად-ერთი თაიგულია. ის მას შეინახავს სამუდამოთ.

30263

ახალი საერთაშორისო მდგომარეობა.

ამჟამათ შექმნილია სრულიად ახალი საერთაშორისო მდგომარეობა, რის მსგავსი არ ყოფილა ამ ოთხი-ხუთი წლის წინეთ. დასავლეთი ამერიკიანა გამოვიდა სამოსკოვო ბურუსიდან და დაინახა სინამდვილე. როცა პირველათ აქ ჩამოვედით, ამ 30 წლის წინეთ, ვინახულეთ პოლიტიკური მოღვაწენი, გავაცანით ჩვენი საკითხი, პასუხი იყო ყველასაგან ერთი და იგივე—თქვენი საქმე ჩვენ არ გვეხება, თქვენ თქვენთვის, ჩვენ ჩვენთვისა. მხოლოდ ახლა შეიქნა ნათელი მათთვის, რომ არც ერთს ერს არ ძალუძს იარსებოს მის-მისდა, როცა მათ გვერდით ამართულია საბჭოთა იმპერია და მათ ემუქრება. ამ ყალბი მიმართულების მაშინდელი ცნობილი მეთაური სპაკი, დღეს აწყობს ევროპის კოალიციას საერთო ძალღონით თავის დასაცავათ. შექმნილია საერთო სამხედრო ცენტრი ცნობილი ამერიკელის აიზენაუერის მეთაურობით, ეწყობა საერთო ჯარი, ისპობა სამხედრო დასუსტება. რა საომარი დარაზმულობა იყო ამ სამი წლის წინ სჩანს იქიდან, რომ რუსეთს ყავდა ჯარი 165 დივიზია, ხოლო ევროპას 12 დივიზია. საქმარისი იყო სტალინის მიერ ომის გამოცხადება, რომ რამდენიმე კვირაში დასავლეთზე გაბატონებულიყო. მან დაავიანა და ახლა თავი ამოყო ჩიხში—მომზადებული მტრის წინაშე.

ეს დაგვიანება აიხსნება შემდეგი გარამოებით: მოსკოვს ყოველგან ყავს მეხუთე კოლონა, ე. ი. თავისი თანამოაზრენის ორგანიზაციები, რომელნიც სარგებლობენ პოლიტიკური თავისუფლებით და ახდენენ შინაურ კომუნისტურ გადატრიალებას. ამ ხაზმა ნაყოფი გამოიღო ბევრ ქვეყანაში და სტალინს ეგონა ამას ვერც დასავლეთი აცდება. აი ეს საშუალებაც დღეს მომსპარია. კომუნისტური პარტია დაფარდნილია. ამჟამათ ყოველგან, ევროპაში და მის გარეთ, ის სულს ლაფავს ან კანონის გარეშე მისი გამოცხადებით და აკრძალვით ან მუშათა შორის ანტიკომუნისტური მიდრეკილების განვითარებით.

მოსკოვი არის დღეს განმარტოვებული, როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკაში. მას აკლია სამხედრო ძალა, დაკარგა იდეური გავლენა.

ამნაირათ, ევროპა-ამერიკა გაერთიანდა მოსკოვის წინააღმდეგ. ეს მათი საერთო აზრი, საერთო განწყობილება გამო-

აქვეყნა ამერიკის პრეზიდენტმა ტრუმანმა ამერიკის სახელმწიფოთა კონგრესზე, სადაც მან აღიარა:

«როგორც დასავლეთში, ისე აღმოსავლეთში ჩვენ უნდა დავუპირდაპირდეთ ერთ დიდ საფრთხეს. ჩვენი მომავალი წინსვლა, ჩვენი არსებობაც კი დამოკიდებულია თავისუფალ ერთა დაცვისაგან. ჩვენ უნდა ავაწყოთ ერთათ ჩვენი თავის დაცვა და გამოვიყენოთ ჩვენი ძალა დასახმარებლათ ევროპის და აზიის მცხოვრებთა, რომ მათ შესძლონ იბრძოლონ მშვიდობიანობის და თავისუფლების დასაცავათ. და ეს არა მარტო ჩვენთვის, არამედ აგრეთვე სხვებისთვისაც, სადაც უნდა ცხოვრობდნენ მსოფლიოში.

«ეს ჩვენი ყრილობა სწორედ ხდება იმ დროს, როცა საბჭოთა იმპერიალიზმი ებრძვის ნაციათა დამოუკიდებლობას და საერთაშორისო თანამშრომლობას. კომუნისტური იმპერიალიზმი ეძებს დაანგრის მართველობის ის სისტემა, რაცა ემსახურება ხალხთა სიკეთეს, მის ალაგას აბატონებს ისეთ სისტემას, სადაც ხალხი არსებობს მხოლოდ მთავრობის სამსახურში» და სხ. (იხ. გაზეთი «მონდ» 28 მარტის).

ამაირათ, ტრუმანმა დიდ კონგრესზე ააფრიალა ანტიკომუნისტური დროშა, რომელზედაც აწერია ბატონობა დემოკრატიის და ერის და მით დაუპირდაპირდა საბჭოებს. მოსკოვი ამჟამათ ჩავარდნილია იდეიურ განმარტოვებაში და სამხედრო დაძაბუნებაში. მის წინააღმდეგ აღიმართა უძლეველი სიმაგრენი. რა გამოსავალი აქვთ აქედან კრემლის მიერ დამონებულ ხალხებს? გამოსავალია ერთადერთი: სტალინის დიქტატურის შიგნიდან აფეთქება, რაც მოითხოვს რევოლუციურ დარაზმულობას, შინაგან ბრძოლას და საამისო არალეგალური ორგანიზაციების შექმნას. ეს მუშაობა გაიმარჯვებს ერთი დროშით, რაც ტრუმანმა წამოაყენა—ხალხის და ერის ბატონობა, დემოკრატია და ნაცია.

აი საბჭოთა ერთა შემაერთებელი ნიადაგი, მათი საერთო ასპარეზზე გამოშყვანი და არსებული ტირანიის დამანგრეველი. ამ საერთო ხაზზე მდგომ ორგანიზაციებს ექნებათ, რასაკვირელია, თავთავისი პოლიტიკური და სოციალური სამუშაო პროგრამა, რაც მათ კავშირს ვერ გასწყვეტს და არ უნდა გასწყვიტოს. საბოლოო შეიძლება იყოს მხოლოდ ორი მოპირდაპირე დროშა: ტირანია და თავისუფლება. ერთია სტალინი და მისი ამალა, მეორეა ყველა დაჩაგრული ხალხები.

ნ. ყ.

მცირე შენიშვნები

დიდ ამბავზე.

ამ ჟურნალის იანვრის ნომერში მკითხველს იმედიანათ დავშორდით. ამ სამი თვის ინტერვალს საერთო მდგომარეობაში გარეგნულათ თითქმის არაფერი შეუცვლია: შორეულ აღმოსავლეთში «კუთხური» ომი გრძელდება; ამერიკა-რუსეთის ურთიერთობა იმავე «ცივი» ომის ხაზზეა შეჩერებული და ქვეყნიერების არც ერთ წერტილზე «მყუდროება» არ შეწყვეტილა.

სიტყვების თამაშს რომ თავი დავანებოთ და სინამდვილეში ღრმად ჩავიხედოთ, უნდა აღვნიშნოთ საერთო ატმოსფერის ძალზე დამძიმება. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მესამე ომის საშიშროება კარზე გვიკაკუნებს; ესეც, როგორც წინეთ, ახლო მომავალში მის ნიშნებს ჩვენ ვერ ვხედავთ. მაგრამ უეჭველია მოვლენათა სტიქიამ თავისი ქნა და კორეის კონფლიქტი იმდენათ განვითარდა, რომ ლამის არის ამერიკა-ჩინეთ შორის აშკარა ომით გადაიქცეს; ეს კი დიდი ამბავია და მისი შედეგები ჩვენ ნათლად გვაქვს წარმოდგენილი; «ჩვენი დროშა»-ს წინა ნომრებში ამაზედ უკვე იყო ლაპარაკი; ესეც ვიტყვი, რომ მოსკოვისათვის ამერიკა-ჩინეთის სამხედრო კონფლიქტი სამკვდრო-სასიცოცხლო საკითხია; მის გეგმებში შორეულ აღმოსავლეთს მუდამ ცენტრალური ადგილი ეკირა; დღევანდელი მდგომარეობა ოცდაათი წლის შეუწყვეტელი დაგეგმილი მუშაობის შედეგია; ჩინეთის გაკომუნისება და კორეის სისხლის ღვრა მისთვის მხოლოდ გზა და ხილია ამერიკასთან ანგარიშის გასასწორებლათ და ამიტომაც ცდილობს ყოველგვარ საშვალეებით ამ უკანასკნელის ჩინეთთან ომში ჩათრევას. ამ დროს მეორე ბანაკში საწინააღმდეგო პოლიტიკა არ სჩანს. პირიქით. იგი მოსკოვის ზრახვებს მუდამ ხელს უწყობდა და დღესაც ამ მიმართულებით მოქმედებს: ჩრდილო ამერიკის შტატებში ამ უამათ მძვინვარე შინაგანი კრიზისი უეჭველათ უნებლიეთ სტალინის ხელის შეწყობაა.

მარკ არტურის შემთხვევა აჯანყებული ლენერლის ამბავი როდია. საქმე რომ მარტო ლენერლის პიროვნებაზე იყოს, ცხადია, ამერიკის მთავრობა, მიუხედავათ მისი დემოკრატიზმისა, შესაფერ ზომებს მიიღებდა უდისციპლინო ჯარისკაცის მიმართ. სინამდვილეში აქ ჩვენ საქმე გვაქვს ამერიკის პოლიტიკის ორად გაყოფასთან და მარკ არტური ერთ ერთ მხარის მედროშეა. თუ დღემდინ ორ დიდ პარტიათა შორის ერთგვარი modus vivendi არსებობდა და საგარეო საქმიანობაში თანხმობაც იყო დაცული, მარკ არტურის გამოსვლამ გარეგნული სოლიდარობა დაარღვია და ამით საბოლოო გათიშვა დააკონჩა.

ამგვარად ომის ხანაში, როცა მთელი ქვეყანა საომარ ფეხ-ზეა დამდგარი, ამერიკა ევლინება მტერ-მოყვარეს ორი საგარეო და საშინაო პოლიტიკით და ორი სამხედრო სტრატეგიით.

პრეზიდენტ ტრიუმანის პოლიტიკა, მიუხედავად მისი მერყეობისა, (რაც შინაურ მდგომარეობას მიეწერება) ცნობილია. მას იცნობენ აქტებით; მთავარი მისი ხაზი ევროპასთან მუიდრო კავშირია; მომავალ ომში მისთვის მთავარი ფონტი ევროპაა; მარშალის გეგმა, ატლანტიკის აქტი, საერთო ჯარი და სარდლობა, ყოველივე ეს, რაზედაც ამდენი დრო და ფულია დახარჯული, ამ პოლიტიკის ე. წ. არმატურაა.

მართალია, ტრიუმანის ადმინისტრაციამ ევროპის ორგანიზაციისათვის ბევრ რამის გაკეთება ჯერჯერობით ვერ შესძლო; მაგრამ ერთი რამ უტყუარი ფაქტია: მან ძველ კონტინენტს დღემდინ სული შეარჩინა და ბრძოლის გაგრძელების საშვალეობა დაუტოვა; ამას მისი დამსახურებითი სიიდან ვერავენ ვერ წაშლის.

არც მეორე მხარეა უცნობი. რესპუბლიკანურ პარტიას ამერიკის ისტორიაში ხანგრძლივი წარსული აქვს. ის უშვალს შემკვიდრეა მონრეოს დოქტრინის; მართალია, ტექნიკურ პროგრესმა და მასთან დაკავშირებულ ეკონომიურ განვითარებამ ეს დოქტრინა («ამერიკა ამერიკელთათვის») ძალზე შეარყია; მაგრამ მისი ძირები დარჩა და ორ დიდ ომებში გამარჯვებამ ამერიკულ ეგოიზმს განდიდების ელფერი დასდო.

ამერიკის დღევანდელი მხსნელნი ჰუვერი და ტაფტი, განსაკუთრებით პირველი, ახლად მოვლენილნი არ არიან; 1927 წ. საშინელ კრიზისისაგან ცოცხალმკვდარი ქვეყანა ჰუვერმარუხველტს გადასცა და ამ უკანასკნელმა, მაშინ მართლაც რომ იხსნა ჩრდილო ამერიკის შტატები.

19 აპრილის კონგრესზე მარკ არტურის მიერ წარმოთქმული სიტყვა ამ პარტიის პოლიტიკურ ხაზზეა აგებული; მისი პოლიტიკური და სამხედრო კონცეპცია «იზოლიანისონიზმის» მჭერმტყველური გამართლებია. მისთვის ევროპა, ინგლისი, O.N.U.—უბრალო დამატებაა, მთავარი კი ამერიკა და მისი სიძლიერეა.

სენატის საანკეტო კომისიის წინაშე, მან სავსებით ვერ გაამართლა ტრიუმანის მოწინააღმდეგეთა იმედები: აქ იგი თითქოს ტრიუმანს თავისივე გეგმის ბოლომდე ცხოვრებაში გაუტარებლობას უსაყვედურებს. საერთოდ კი მისი მოწმობა აღსავსეა წინააღმდეგობათა და შემთხვევითი ჰიპოტეზებით.

ამ მიმოხილვის საგანს ორ მოპირდაპირეთა სამხედრო და პოლიტიკურ სტრატეგიის გარჩევა არ შეადგენს. ამას ჩვენ მხოლოდ სხვათა შორის შევუხეთ. ჩვენ არ ვიცით ვინ გამარჯვებს: ტრიუმანი თუ მარკ არტური; იზოლიანისმი, თუ ძველ კონტინენტთან მუიდრო კავშირი; ეს მომავალის მუზიკაა; მხოლოდ ის კი ვიცით, რომ დღესდღეობით ამ სენსაციური ჯახით მოსკოვია მოგებული.

ჩრდილო ამერიკის მოკლე ხნის ისტორიაში (თუ მხედველობაში 1860 წ. ეგ. წოდ. Secession-ის ომს არ მივიღებთ) ასეთ გააფთრებულ შინაურ ბრძოლას ადგილი არ ქონია; ქვეყანა ორ მოწინააღმდეგე ბანაკათ არის გაყოფილი; განხეთქილება შექერილია თვით სამხედრო შტაბში; ბრძოლა ქუჩაშია გადასული. მსგავსი მანიფესტაციათა ფასი ჩვენ კარგათ ვიცით; ვიცით, პირადი გამოცდილებითაც, მათი წარმავალი ხასიათი; მხოლოდ არ უნდა დავივიწყოთ, რომ თუ მასების ქუჩაში გამოყვანა ადვილია, გაცილებით უფრო ძნელია ამ მასების დამოშმინება; განსაკუთრებით ძნელია ეს ომიანობის ხანაში. დღეს ხომ ათასობით იხრება ბრძოლის ველზე ამერიკის ახალგაზნდობა? თვით მარკ არტურის ცნობით გაწეულ მსხვერპლთა რაოდენობა 65.000 აღწევს; ყოველ დღე, გაღებულ სისხლს ახალი ერთვის; ხალხის გულგატეხილობა მატულობს, სულიერი მორალი ეცემა და ასეთ მომენტში შინაგან ბრძოლის ისეთი სიმწვავეთ გაშლა, სწორედ რომ მტრის წისქვილზე წყლის დასხმაა.

გვეტყვიან, დემოკრატიის სიძლიერე იმაშია, რომ ის ახრთა თავისუფალ შეხლა-შემოხლას არ უფრთხისო. სრული ქეშმარიტებაა: მაგრამ ეს ფორმულა უსიცოცხლოა, თუ ის სიმამდვილეს არ უწევს ანგარიშს. ომის ხანაში მისი სავსებით ცხოვრებაში გატარება შეუძლებელია; ომი არანორმალური მოვლენაა და მას თავისი კანონები აქვს, დემოკრატიისათვისაც სავალდებულო; თუ უკანასკნელი ამ კანონებს ეურჩება და სახლვარს სცილდება სასჯელათ მას დამარცხება მოელის.

სხვა ხალხს, მაგრამ იმავე შინაარსის, მოვლენას ვხედავთ ინგლისშიდაც. ამერიკას არც ინგლისი ჩამორჩა და იქაც შინაგან კრიზისს აქვს ადგილი. მეტსაც ვეიტყვი: მუშათა პარტიის კრიზისს საერთაშორისო მდგომარეობაზე შესაძლოა უფრო მეტი გავლენა დაურჩეს, ვიდრე ამერიკისას.

ინგლისელი ბუნებით ფლეგმატიურია; ის არ ხმაურობს; მას ჩუმათ და გარეგნული სიმშვიდით გადააქვს, ხშირად მძიმე, კრიზისები და სწორედ ამაშია ამ ხალხის სიძლიერე. ინგლისის მმართველმა პარტიამ, თითქმის ერთდამივე დროს, ორი მნიშვნელოვანი პიროვნება დაკარგა: საგ. საქ. მინისტრი ბევენი და ჯანმრთელობის ბევანი. პირველი მას სიკვდილმა მოსტაცა, მეორე კი მას თავის ნებით ჩამოშორდა. ბევენის სიკვდილი პარტიისათვის დიდი დანაკლისია, განსაკუთრებით ამ კრიზისის დროს, როცა პარტიის მემარცხენე ფრთას კონსერვატორებთან ერთად იერიშები მოაქვს მთავრობაზე. ყოფილი საგარ. საქ. მინისტრი მუშათა კლასის ღვიძლი შვილი, მუდამ მასთან დაკავშირებული, დიდ ძალას წარმოადგენდა პარტიულ ხელმძღვანელობისათვის.

მაკდონალდის შემდეგ (1931 წ.) ეს მეორე დიდი განხეთქილებაა პარტიაში; შინაური და საგარეო ვართულება მას კი-

დედ უფრო მეტ მნიშვნელობას აძლევს; მისი გაღრმავება, რაც მოსალოდნელია, უეჭველათ დააჩქარებს ახალ არჩევნებს. ცხადია გათიშულ «ლაბურს» არჩევნებზე გამარჯვების ნაკლები შანსები აქვს; მით უმეტეს, რომ ამ პარლამენტშიდაც მისი უმრავლესობა სულს დაფავდა.

ბევანი ამას არ უფერტხის^{*)}. სჩანს რომ დროებით მუშათა პარტიის დამარცხებას ის სასურველადაც სთვლის; ის დარწმუნებულია კონსერვატორთა სწრაფ გაკოტრებაში; ამიტომ იმედოვნებს, რომ მუშათა პარტიას საოპოზიციო ე. წ. Cure-ი გააჯანსაღებს, გასწმენდს ყოველგვარი კომპრომისებისაგან, აღადგენს მის დაჩრდილულს ავტორიტეტს და მაშინ... მისი (ბევანის) ხელმძღვანელობით პარტია მიიტანს უკანასკნელ იერიშს კაპიტალიზმის ციხეზე.

ბევანს მოპირდაპირენიც დიდ კაცათ სთვლიან; მას დიდი ორატორის და ორგანიზატორის სახელი აქვს მოხვეჭილი; მაგრამ ეს არ გვიშლის ხელს მისი ანგარიშები ყოველგვარ ნიადაგს მოკლებულათ ჩავთვალოთ; ის ურევს ერთმანეთში საკუთარ სურვილებს და რეალობას. ბევანი ტიპიური «ვიზიონისტი»ა, რომელიც წინასწარ გამომუშავებულ ფორმულებით ცხოვრობს და სინამდვილეს არავითარ ანგარიშს არ უწყევს. რამდენი უბედურება დაატეხა კაცობრიობას თავზე ასეთ ნიჭიერმა პირებმა!

კონსერვატორების გაკოტრება რომ დაუსრულებელ გაფიცვებს გამოიწვევს (ცნობილია, რომ კონსერვატორების შთაერობა პირველ ყოვლისა სხვადასხვა წარმოებათა ნაციონალიზაციის ლიკვიდაციას მოისურვებს); რომ გაფიცვებს თან მოაქვს სოციალური კრიზისი, საერთო უკმაყოფილება, ცხოვრების დონეს დაცემა და ათასგვარი სხვა უბედურება, ამაზე ალბათ ბევანი ცოტას ფიქრობს; ისე, როგორც ის არ ფიქრობს ქვეყნის დაცვაზე მომავალ ომის მოლოდინში.

სხვათა შორის თავის «სადემისიო» წერილში მისი მთავრობიდან გასვლის მიზეზათ შეიარაღებისათვის გასაწევ ხარჯებს ასახელებს და თან უმატებს: დღესდღეობით «შეიარაღება პრაქტიკულათ შეუძლებელია».

ხაზგასმით ვიმეორებთ. ინგლისის მუშათა პარტიის კრიზისი საერთაშორისო მნიშვნელობისაა. მართალია ბევანს პარლამენტში ოციოდე მომხრე ყავს; სამაგიეროთ ტრედ იუნიონებში ორი მილიონ წევრმა დაუჭირა მას მხარი. მთავარი მისი მოკავშირე შინაურ მდგომარეობის სიმწვავეა. დასავლეთის ფრონტიდან ინგლისის, ამოვარდნა ან მისი როლის შესუსტება, დიდ უბედურებათ უნდა ჩაითვალოს.

«S' Unir ou perir»—გაერთიანება ან დაღუპება», ასეთია ყოფილ პრემიერ პოლ რეინოს უკანასკნელ წიგნის სათაური და ეს მდგომარეობის სწორი დაფასებაა.

^{*)} ბევანი 1939 წ. უდისციპლინობის გამო გაძევებულ იქნა პარტიიდან.

უმძლავრესი ამერიკის ავიაცია, რომლითაც ის სამართ-
ლიანათ ამაყობს, ფეხმოჭრილი დარჩება, თუ ევროპის ბაზები
მის განკარგულებაში არ იქნა. სამწუხაროთ დასავლეთის სო-
ლიდარობის იდეიამ საკმარისად კიდევ ვერ მოიკიდა ფეხი;
მან რომ დიდი პროგრესი გააკეთა, ეს უდაოა. მაგრამ ის კი-
დეც არ არის მოკავშირეთა სისხლხორცში გამჯდარი: დიდ
უკმაყოფილებას იწვევს ევროპაში ნედლ მასალის ამერიკის
ხელში დაგროვება. ბევანის გამოსვლები უმთავრესად ამერი-
კულ ევოლუციას აგებულებს. ვაშინგტონი ამას მიხვდა და საქმის
გამოსასწორებლათ კაციც აფრინა ლონდონში; მხოლოდ ინ-
ტერვალში ანტიამერიკული გრძნობები გაიზარდა.

ხმელთა შუა ზღვის დაცვის საკითხი საფრანგეთის გარეშე
წყვეტა; რაც დიდ გულის წყრომას იწვევს ამ ქვეყნის ყველა
წრეებში. კიდევ ერთი იმავე ხასიათის მაგალითი: სპარსეთმა
ინგლისის სანავთო საზოგადოების ნაციონალიზაცია მოახ-
დინა. საკითხი საერთაშორისო მნიშვნელობისაა; ინგლისი
კონფლიქტშია თეერანთან; ამ დროს ამერიკა თეერანის მოთ-
ხოვნიტ მზათ არის გაუგზავნოს თეერანს თავის ტექნიკოსები
ინგლისელ ტექნიკოსების შესაცვლელათ. ჩვენ აქ ინგლისელ
კონცესიონერებს არ ვიცავთ; მოკავშირეთა სოლიდარობის
სისუსტეზე ვლაპარაკობთ.

ან ეს როგორ მოგწონთ? O. N. U. ჩინეთს თავდამსხმელათ
აცხადებს; მის მიმართ რეპრესიების მიღებაა განზრახული;
ირკვევა კი რომ ინგლისი ზონ-გონგოდან ჩინეთს საომარ მა-
სალას აწვდიდა; წარსულში ასეთი რამ სისტემათ იყო გამზდა-
რი. მაგრამ ეხლა, როცა ყოფნა არ ყოფნის საკითხი უდგას
მოკავშირეთ, ეს დაუშვებელია.

არა ერთჯერ გვითქვამს, რომ სტალინს ბედი წყალობსო.
ჩვენ წერილში ამგვარ მისტიურ მომენტის შეტანის უხერხუ-
ლობას კარგათ ვგრძნობთ; მაგრამ წარსულს რომ ვითვალის-
წინებთ და დღევანდელ ვითარებას ვუკვირდებით. ასეთი და-
სკვნა არ გვეჩოთირება.

ზოგი რამ ამაზე წინა წერილებშია მოყვანილი; ამას ახალ-
საც დაუმატებთ. პირველმა დიდ ომმა დასავლეთს ერთი მტე-
რი უნდებოდა: მოსკოვი. მტერი დანასისხლათ განწყობილი,
შეურიგებელი. ჩაწვდა ამას დასავლეთის დემოკრატიკა? სოცი-
ალისტურმა სექტორმა ეს დიდი მოვლენა ფრაქციულ საქმეთ
ჩასთვალა—მსგავსათ რუსულ ბოლშევიზმ-მენშევიზმისა; მე-
ორე ინტერნაციონალმა საბჭოთა ხელშეუხებლობა საერ-
თაშორისო ურთიერთობის ქვაკუთხედად აღიარა რევოლუ-
ციის აკვანი. საერთაშორისო პროლეტარიატის წინაპრილი
ავანგარდი ამ სახელით მონათლულ მოსკოვის დიქტატურას,
დასავლეთის სოციალიზმა მთელი მისი მორალური ავტორი-
ტეტი უ ვანსა. მეორე ინტერნაციონალს არც ბოლშევიზმი ჩა-
მორჩა უკახ: მასკი რუსეთთან ვაჭრობის ანგარიში ასულ-

დგმულედა. საქართველოს დაპყრობამ, მართალია, მოსკოვის «სოციალისტურ» სახეს ცოტა ლაქი მოსცხო; მაგრამ ადამიანის მახსოვრობა ხომ მის სიცოცხლეზე უფრო მოკლეა: ჩადენილი ბოროტება ჩქარა დავიწყებას მიეცა.

ცხადია, ერთ ბოროტებას, მოსკოვის ბუნების ნათელსაყოფად, სხვა უნდა მოყოლოდა; მაგრამ ამ დროს მოსკოვის ჰიტლერის სახით ახალი კონკურენტი გაუჩნდა; ამ გარემოებაში ატმოსფერო გაართულა და დასავლეთში საზოგადოებრივმა აზრმა მტრათ № 1 ჰიტლერი აღიარა.

სწორეთ აქარის დღევანდელ სირთულეთა ნამდვილი წყარო. ამაშივეა საუცხოვო საბუთი იმისა, თუ რა საბედისწერო ნახტომებს აკეთებს პოლიტიკა, როცა ის თავის ერთად ერთ საფუძველს—ანგარიშს—სტოვებს და გრძნობათა ტალღაში ვარდება.

ჩვენ აქ გადაბრუნებულ ურმის შემთხვევასთან არ გვაქვს საქმე: ცნობილია, რომ მეორე ომის წინა წლებში საფრანგეთის კაბინეტი ამ ანგარიშის პოლიტიკას დაადგა. ეს უკანასკნელი ინგლისის მთავრობამაც გაიზიარა. ორ დიქტატურათა კლასიფიკაცია შეცვლილ იქნა და სტალინი ნაციზმზე უფრო ძლიერ და საშიშარ მტრათ იქნა აღიარებული და მათ შორის შეხლისათვის ხელის შეწყობა კი მიზნათ დასახული. დასავლეთ ევროპის მაშინდელი მეთაურობა დარწმუნებული იყო, რომ სტალინზე გამარჯვებული ჰიტლერი რუსეთის სივრცეში ჩაიხრჩობოდა.

როგორც ვიცით, საბოლოოთ ეს ხაზი დამარცხდა. გაიმარჯვა მეორემ: სტალინი დასავლეთმა მოკავშირეთ გაიხადა.. შედეგი ვიცით.

მოუსმინოთ, თუ რას ლაპარაკობს დღეს ამის შესახებ პოლ რენო, საფრანგეთის ყოფილი პრემიერი და გამარჯვებულ პოლიტიკის ერთ ერთი სულის ჩამდგმელი: «რუსეთს ორი ჯარი უფროთხობდა ძილს და აკავებდა თავის საზღვრებში: გერმანიის, რომელიც მას შიშის ქრუანტელს გვრიდა და იაპონიის, რომელმაც ის ერთ დროს მანჯურიაში დაამარცხა. მოკავშირეთა დახმარებით მან გერმანიის ჯარი გაანადგურა. იაპონიის ჯარი კი ამერიკელებმა და ამნაირად რუსეთის იმპერიალიზმს გზა გაეხსნა; ამ უკანასკნელმა ფრთა გაშალა და იარაღით, ტერორით და პროპაგანდით ცდილობს დასავლეთის დაპყრობას... თავისუფალ ქვეყნებს რომ 1938-40 წლებში კარგი გზა აერჩიათ; რომ ისინი გაერთიანებულიყვნენ დიქტატურათა საწინააღმდეგოთ, მეორე ომს კაცობრიობა აიცდენდა».)

მოგვყავს უკომენტარიოთ. ომის დროს ჩვენი პოზიციის მკაცრ კრიტიკასთა საყურადღებოთ.

დღევანდელი მდგომარეობა გვარწმუნებს, რომ ძველი ამბავი მეორდება: მართალია მოკავშირეთა შორის მიზანი არა-

*) «S' Unir ou Perir», Paul Raynaud, Ed. Flammarion.

ვითარ უთანხმოებას არ იწვევს; სამაგიეროთ ბრძოლის მეთოდების შესახებ ახრთა მთლიანობა ძალზე მოიკოჭლებს; თუ შეიარაღებას და სტრატეგიას მოკავშირეთა საქმიანობაში საპატიო ადგილი უჭირავს, სამაგიეროთ მოსკოვის წინააღმდეგ ბრძოლაში სოციალური მხარე, რასაც ჩვენი ღრმარწმენით, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, სრულებით მივიწყებულა; ვაშინგტონის დღევანდელი ორონტრიალი, 1938—39 წლების ევროპის დაუსრულებელ დავას მოგვაგონებს; იმ განსხვავებით, რომ დღეს ეს დავა უფრო მწვავეა და გზა შარაზეა გამოტანილი.

რაზე დავობენ უმთავრესად: ჩაერევა თუ არა რუსეთი ჩინეთთან კონფლიქტში? ჩვენთვის ეს გაუგებარია: განა მოსკოვი დღემდინ იდგა კონფლიქტის გარეშე? ან ამაშია სიმძიმის ცენტრი? თუ აშკარა ჩარევაზეა ლაპარაკი, ჩვენთვის, უბრალო მომაკვდავთათვის, ნათელია, რომ მოსკოვს დღეს დღეობით სრულებით არ სჭირია კონფლიქტში აშკარათ ჩარევა. ამ უამათ ჩინეთი სტალინის სრულ ტყვეობაშია: ის მას აბრძოლებს, როგორც უნდა და მანამ, სანამ დასახულ მიზანს არ მიაღწევს: ამერიკა-ჩინეთის აშკარა ომს, რაც მას ევროპისაკენ გზას გაუხსნის. იყო ეს აუცდენელი? სრულებითაც არა. მაო, დღევანდელი ჩინეთის ბრძანებელი, სტალინის ყურმოჭრილ ყმათ ქვეყანას არ მოვლენია; სხვა სატელიტებთან შედარებით მდგომარეობა მას განუზომელათ მეტ თავისუფლებას ანიჭებდა; ძალაუფლების მატარებელს, დიდია ის თუ პატარა, ერთი თანდაყოლილი თვისება ახასიათებს: სურვილი უფლების გაფართოებისა. ცხადია, რომ ჩინეთის მეთაურობაში ეს თვისება უაღრესად გამჟღარია: ამას მოწმობს მისი ისტორიული წარსული.

შესაძლოა თუ არა ესლა მდგომარეობის შემობრუნება? მთელი საკითხი ამაშია. ჩვენის აზრით ეს შეუძლებელი არ არის. ვერ წარმოვიდგენთ, რომ ჩინეთი, თუნდაც გაკომუნისტებული, კმაყოფილი იყოს თავის დღევანდელი მდგომარეობით, ან იმ რაღით, რომელსაც მას დღეს მოსკოვი ანიჭებს; საჭირია მხოლოდ, რომ მას შეუქმნან ღირსეულათ უკან დახევის საშუალება. ამერიკაც იძულებულია უკან დაიხიოს: «საპოლიციო» ოპერაციამ კორეიაში ომის ხასიათი მიიღო; რომ ამას ჩინეთთან აშკარა ომიც არ მოყვებს, O. N. U-მ ხელი უნდა გამოიღოს: მისი დანიშნულებაც ამაშია. მოსკოვი ცდილობს მოვლენები დააჩქაროს და კარტები აშალოს; მარკ არტურის ისტორიამ მას ამაში ძალაუბრებურათ ხელი შეუწყო. საბედნიეროთ უკანასკნელი ცნობებით, გენ. მარშალის სენატის წინაშე ჩვენებამ სასწორი საღი გონებისაკენ გადახარა და

ამიტომ, შესაძლოა, ბერლინის ბლოკადის გამეორების მოწმენი გავხდეთ. თუ მოსკოვმა აქ დაიხია, მაშინ უნდა მოველოდეთ ახალ დივერსიას სადმე ევროპის, ან მცირე აზიის რომელიმე კუთხეში.

შორი და ეკლიანია აქ ნაჩვენები გზა. მაგრამ კაცობრიობისათვის ის საუკეთესო გზაა. დასავლეთს ყელამდი აქვს, არა მარტო ნივთიერი, სხვა საშვალეებანიც მოსკოვთან კვალ და კვალ გამკლავებისა. ცდება და ათასჯერ ცდება ის, ვინც ფიქრობს, რომ დრო მოსკოვისათვის მუშაობს. მსგავსი შეხედულება ყალბ პოსტულატზეა დამყარებული: სტალინმა რუსეთშიდაც ვერ შექმნა რეჟიმის სოციალური და პოლიტიკური გამძლე ბაზა; ევროპის სატელიტებში ის წმინდა წყლის დამპყრობელია, აღმოსავლეთში ანტიკოლონიალისტი. ეს უკანასკნელი შემთხვევითი და მასთან ორპირი იარაღია; დასავლეთს ადვილათ შეუძლია ის მოსკოვს ხელიდან გააგდებოს, თუ ინგლისის მაგალითს ინდოეთში სახელმძღვანელოთ გაიხდის. მეხუთე კოლონა. მთავარი მისი ძალა? მისი სისტემატიური დაკნინება ექვს გარეშეა.

ვიმეორებთ, შორეულია ჩვენი პერსპექტივები. ყველას ეჩქარება. განსაკუთრებით ეჩქარება ქართველებს უცხოეთში; ყველაზე მეტათ ეჩქარება ამ სტრიქონების ავტორს (გასაგებია თუ რისთვის!); მაგრამ ჩვენ «დაცვრაზე» არ ვოცნებობთ, მასში ხსნას ვერ ვხედავთ, ვინაიდან ჩვენ ვიცით, თუ რას ნიშნავს მომავალი ომი; ვიცით, რომ მას რუსეთის სრული დანგრევა მოყვება; მაგრამ იმავე ბედს სხვა ქვეყნებიც გაიზიარებენ და ამ ნანგრევებიდან კარგი რამ არ წარმოიღინდება ეს ჩვენთვის აშკარაა.

საქართველოსათვის, განსაკუთრებით, ახლა ომის საკითხი საბედისწერაა. ხშირად გაგვიგონია და ერთ ქართულ გამოცემაში, რალაც ამის მსგავსიც წაგვიკითხავს: ჩვენ ჩვენთვის და ქვეყანა თავისთვის; ასეთი სულისკვეთება უნდა განიდევნოს ქართველ ადამიანის არსებიდან: ეს ჩვენ უპასუხისმგებლობისაკენ გვერეკება. პირიქით. თვითეული ქართველი უცხოეთში მუდამ ქვეყნის წინაშე პასუხისმგებლობას უნდა გრძობდეს. მხოლოდ ეს მოგვცემს საშვალეებას ყოველივე ჩვენი მოქმედება, «ქესტი» და უბრალო სიტყვაც დაუმორჩილოთ ქვეყნის ადგილობრივ მდგომარეობას, რათა ჩვენი მოქმედებით მას, ისედაც მძიმე, მდგომარეობა არ გაუართულოთ. ნუ დაგვავიწყდება, რომ ჩვენი ერის განთავისუფლების მთავარი წყარო თვით ქართველი ხალხია.

მ. შ. შავეჭავჭავაძე.

ბ რ ძ ო ლ ი თ მ ო ნ ა ვ ო ვ ა რ ი

დამოუკიდებლობის შენარჩუნებისთვის ბრძოლაში მოქანცულმა, მეზობელთაგან მუდმივად შევიწროებულმა ერმა პირი ჩრდილოეთისკენ იბრუნა. მას საუკუნის მანძილზე სმენოდა, რომ ერთმორწმუნე რუსეთი მას მფარველობას გაუწევდა, მასთან ურთი-ერთ თანამშრომლობის ნიადაგზე შექმნილი პირობები საწინდარი იქნებოდა ერის შინაურ ცხოვრების დასამაგრებლად, მის ეროვნულ წარმატების უზრუნველსაყოფად. ამ მიზნით შემოშვებული ძალა მის სულთამხუთავად გადაიქცა.

1801 წლის 12 სექტემბრის აქტმა სასიკვდილო ლახვარი ჩასცა ქართულ სახელმწიფოს სხეულს, შეუდგა მის დაშლას, დანაწილებას, გადაგვარებას, წარსულ ბრძოლებში დასუსტებული იგი არ მოელოდა ასეთ პირის გატეხას, დადებულ პირობათა ლაჩრულად უკუგდებას. მასში კვლავ გაიღვიძა გამკლავების მძლავრმა ქარიშხალმა, ეროვნულ და პატრიოტულ ინსტიქტის ტალღები მძლავრათ აზვირთდენ, აჯანყებით და მრავალი გამოსვლებით თავის შეურიგებლობა ამცნეს უპირო სტუმართ, რუსეთის მპყრობელთ.

1804 წლის მთიულეთის აჯანყება, 1912—21—28 და 41 წლის აჯანყებანი, მართალია უფრო ეკონომიურ ხასიათს ატარებდნენ, მაგრამ არ იყვენ მოკლებული ეროვნულ-პოლიტიკურ მოტივებს.

ხოლო 1832 წლის შეთქმულების ღრმა მნიშვნელობა თვით რუსეთის მთავრობამ მიჩქმალა, დაამცირა და შეეცადა მის სახელის გატეხას; იგი უკმაყოფილო, მეოცნებე ჯგუფის საქმიანობათ გამოაცხადა, ქართულ საზოგადოებრივ ასპარეზზე ასეთი დაფასება,—სამწუხაროთ, უკრიტიკოთ იქნა მიღებული. უკანასკნელ ათეულ წლების მანძილზე გამოქვეყნებული მასალები კი აშკარად ამტკიცებენ, რომ შეთქმულების მეთაურთ შემუშავებული ქონდათ იმ დროს შესაფერი გეგმა, რომელიც ეყრდნობოდა სწორედ ხალხურ აჯანყებათა გამოყენებას, მთელს იმედებს ამყარებდა სხვადასხვა კუთხიდან ფართე მასლების გამოვლალზე და თუ ადგილობრივ მათ არ გაჩნდათ მოწყობილი ორგანიზაციები,—ეს მაშინდელ ბრძოლის მეთოდის ხასიათით უნდა აიხსნას. სწორედ ხალხის საშვალეებით ფიქრობდნენ ისინი მტრის განდევნას და სახელმწიფო სუვერენობის აღდგენას. მზადება ხდება 6 თუ 7 წლის მანძილზე და იგი შეფარდებულია რუსეთ-ინგლისის ინტერესთა დაჯახებასთან ამიერ-კავკასიაში, პოლონეთის განმანთავისუფლე-

ბელ მოძრაობასთან, მთაში ქაზი-მულ ას გამოვლენებთან თითული მოვლენათაგანი იყო შესწავლის საგანი და შეთქმულნი უცდიდნენ შესაფერ მომენტს... შეთქმულების გაცემით დამთავრდა ერთი ხანა ჩვენი ეროვნული მოძრაობისა; თავად-აზნაურობის ერთი ნაწილი ხარბად დაეწაფა მეფის «ლიბერალურ ზომებს», მისი ერთგული გახდა, მის სამსახურში ჩადგა.

საითკენ უნდა მიმართულიყო პატრიოტთა მოქმედება, სად უნდა გაშლილიყო ეროვნული ენერჯია, სად უნდა შეეფარებია თავი ჩვენი ქვეყნის კულტურულ ძალებს თუ არა მწერლობაში და აკი რომანტიულმა მიმართულებამ უდიდესი სამსახური გაუწია ქართული სულის გადაარჩენას, მის გადაგვარებას და აი პოეტმაც გადაგვარებულთა და სულმოკლეთა გასაგონათ ზარებს ჩამოჰკრა: «სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა, ერი გულადი, პურადი, მებრძოლი თავის ბედისა»... ამით მან მოაგონა გზა-აბნეულთ, რომ ქართველი ერი განაგრძობს არსებობას და იგი მებრძოლია თავის ბედის.

ძველი დიდება, დამოუკიდებელ ცხოვრების დაკარგვა, წარსულის იდეალიზაცია, გუშინდელი მწარე სინამდვილე ქართული ვითარებისა, გახდა საფუძველი ქართული რომანტიზმის, რომელმაც რეალურად ახატა გუშინდელი დამარცხება და სევდა-ნალგელის ტალღებში ააგორა ერის სულიერი ტკივილები; სწორედ ამიტომაც არის ქართულ რომანტიზმსა და რეალიზმს შორის ზღვარის გადება ძნელია და მით იგი განსხვავდება აგრეთვე ევროპის იმავე სალიტერატურო მიმართულებიდან... ის მისტიროდა რა დაკარგულ სამშობლოდ, აღვიძებდა, ანთებდა ქართველთა გულში სურვილს წარსულის ღირსების დასაცავად, ამზადებდა წარსულის დასაბრუნებელ ბრძოლისთვის. ცრემლში განბანილ ქნარის აუღერებამ, შიგ საქართველოს ადრინდელ ტკივილთა გამოქვადენებამ, თუ შეიძლება ასე ითქვას, სულიერი ნიადაგი მოუშნადა იმ თაობას, რომელმაც უფრო მკვეთრად დააყენა ქართული კულტურის დაცვის საკითხი, ხალხის გათვითცნობისთვის მან ფართეთ გაშალა თავის მოღვაწეობა. დიდი მგონის გამოძახილზე წარსულზე დარდების მოსაკლავად და ახალი ვარსკვლავის სამსახურისთვის ირახმება კულტურულ ფრონტზე საუკეთესო ძალები, რომელთაც უდიდესი კვალი გაავლეს გუშინდელ ჭრილობათა განსაბანათ, მათ გასაქრობათ და იმედის თბილი სხივები გადმოაფრქვიეს...

რუსეთიდან დამყარებულ წესებით გმინავდა ერის დიდი უმრავლესობა, უმთავრესათ გლეხობა, საქირო იყო ბრძოლა მათ ეკონომიურ და უფლებრივ მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის, საქირო იყო ფართე მასსების ორგანიზაციულად ჩამოყალიბება, მათი საზოგადო ასპარეზზე გაწრთვნა და აი ამ მძიმე ისტორიულ როლის შესრულებას კისრულობს პო-

ლიტიკურ ასპარეზზე გამოსული ახალი ძალა, რომლის მეთაური ნ. ჟორდანიას აცხადებს:

«ჩვენ უნდა ვეცადოთ მხარი მივცეთ ყველა ისეთ გარემოებას, ყოველ დონისძიებას, რომელსაც შეუძლია საქართველოს ერთი განამტკიცოს, გააღონიეროს, ერთიანობით, პოლიტიკურად და ეკონომიურად»... (იხ. ნ. ჟ. რჩეული ნაწერები გვ. 64). აღიარებულ იქნა, რომ ეროვნული საკითხის გადაწყვეტა ხალხის უმრავლესობის საქმეა; მაგრამ თუ ხალხი დაბეჩავებულა, ნივთიერად გალატაკებულა, შეუძლებელია მისი ეროვნულ ფრონტზე დარაზმვა, ყოველ-დღიურ ლუკმაპურის მაძიებელი სათანადო სიმწვაგით ვერ იგრძნობს ეროვნულ ჩაგვრას.

ერთჯერ აღებული პოლიტიკური ბრძოლის ხაზი დისციპლინითა და რკინის ნებისყოფით ტარდება, იბრძვის დასახულ ამოცანათა შესასრულებლად, რაზმავს და საზოგადო ასპარეზზე გამოყავს ფართე მასსებში. თუ მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ქვეყნის გულშემამტკიცვარნი ვერ ახერხებენ ადგილობრივ ინიციატივის გაშლას და გამოყენებას, ახალი პოლიტიკური მიმართულება აბამს ფართე პოლიტიკურ მუშაობაში გლეგობის დიდ უმრავლესობას და ასე ერთი მომზადებული ხედება რუსეთში 1917 წლის რევოლიუციის და იგი შესაფერისად უმკლავდება იმავე რუსეთიდან მოწოდებულ ბოლშევიკურ-ანარქიულ ტალღებს.

ამიერ-კავკასიის საზღვრებში მომწყვდეულ ჯარების გამოყენებით ცდილობენ დიდი რუსეთის შავრახმელები და ბოლშევიკები ხელი შეუშალონ ქვეყნის დამოუკიდებლობის ფეხზე დაყენებას.

აქ იქნა სწორედ გამოყენებული მასსების ორგანიზაციული დარაზმვა და პოლიტიკურ სიფრთხილის შედეგებმა შესაძლებელი გახადა აღვირ წახსნილ ჯარების თარეში, მათგან ჩვენი ქვეყნის დარბევა და ანარქიის თავიდან აცილება. ზრუნვა ქვეყნის ფიზიკურად გადარჩენისთვის იყო საშური ამოცანა და აი ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე ნ. ჟორდანიას მიმართავს ქართველ მხედრობას: «ჩვენ დარწმუნებული ვართ, თქვენ არ უღალატებთ საერთო საქმეს და ერის საუკეთესო ტრადიციებს, ამ მიზნისთვის დღეს საჭიროა ძლევაამოსილი და გაწრთონილი ქართული ჯარის შედგენა, უზრუნველყავით ერის ფიზიკური არსებობა და მისი საუკეთესო იდეალის განხორციელება»...

ეს საუკეთესო იდეალი ყველა ქართველის გულში ბუდობდა, დროს უცდიდა, მაგრამ დღეს საჭირო იყო ხიფათის თავიდან მოშორება.

იმ ხანებში ნაციონალური მოთხოვნილების რადიკალურად წამოყენება, მისი წინ წამოწევა მოასწავებდა რუსის ჯარებისთვის საბუთის მიცემას—ქვეყნის ასაოხრებლათ... რამოდენიმე დღის შემდეგ იგივე ნ. ჟორდანიას მღელვარებით

მიმართავს ერს: «ქვეყანას მტერი შემოესია, ბრძოლის ველი დაცალიერდა, ვრჩებით ღვთის ანაბარად,—დაშლილი ჯარების მოლოდინში, საჟიროთა ძლიერი, ეროვნული ჯარის დაუყონებლივ შექმნა» და სხ. (იხ. ნ. ჟ. სიტყვა 14 დეკ. 1917 წელი). დრო არ ითმენს მუშათა და გლეხთა სახელდახელოთ შექმნილი რაზმები იღებენ მონაწილეობას ქვეყნის გადასარჩენათ, რითაც ერთხელ კიდევ მტკიცდება გათვითცნობიერებულ მასსების უდიდესი როლი ქვეყნის ბედის გადაწყვეტაში...

კა ოდნავ გადაიწმინდა, საშიშროების აჩრდილი გაჰქარა... ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა საოლქო ყრილობაზე ნ. ჟორდანიას გამოდის ვრცელი მოხსენებით ნაციონალურ საკითხზე. სადაც სხვათა შორის ამბობს: «აქნობამდე გართული ვიყავით საერთო პოლიტიკურ საკითხების მოგვარებაში, დადგა დრო, როცა სერიოზულად ხელი უნდა მოგვიდოთ ნაციონალურ პრობლემის გარკვევას და მის პრაქტიკულად მოგვარებას»-ო... არკვევს რა ევროპის ზოგიერთ მრავალფეროვან ეროვნებით დასახლებულ სახელმწიფოთა წყობილების ფორმას და ადარებს რა მათ რუსეთის სინამდვილეს, უარყოფს ამ უკანასკნელთან ფედერაციაში შესვლის შესაძლებლობას. თუ ავსტრალიის ან შვეიცარიის მიწაზე ეს საძღვებელია, მათში შემავალნი ეროვნული ერთეულნი თანასწორი უფლებით მოხილია, რუსეთი—რუსებით დასახლებულია და სხვა ეროვნების ორი თუ სამი გუბერნია ჩავარდება ვასსალურ პირობებში, მათი ეროვნული სახე დაიჩრდილება, მათი უფლებრივი ნორმები ქალაღზე დარჩება; საჟიროთა და აუცილებელი ამიერ-კავკასიის ერთა კავშირის შექმნა, რაც უზრუნველყოფს თითოეულ მათგანის პოლიტიკურ-ეკონომიურ და ეროვნულ წარმატებას...»^{*)}

მოხსენებელი ადგენს შესაფერ გეგმას ამ საკითხის პრაქტიკული მოგვარების მიზნით... სამწუხაროთ ხანმოკლე გამოდგა ამიერ-კავკასიის ერთა თანაცხოვრება... იშლება სეიმი, მაგრამ ქართველი ერი არ იბნევა, მხნეთ ხვდება შექმნილ მდგომარეობას.

ეროვნულ საბჭოს სსდომაზე ნ. ჟორდანიას აცხადებს: «თქვენ იყავით დღეს მოწამე ერთი ისტორიული, იშვიათი, მაგრამ ტრადიციული აქტის. დღეს ამ დარბაზში მოკვდა ერთი სახელმწიფო და საძირკველი ეყრება მეორე სახელმწიფოს მეორე სახელმწიფო არ არის პირველის მოწინააღმდეგე, მათ შორის შური და მტრობა არ არსებობს და თუ აღსდგა პირველი სახელმწიფო, მეორეს ამის საწინააღმდეგო არაფერი არ ექნება, პირიქით, მეგობრულად ხელს გაუწვდის მას. დაე იცოდეს ყველამ, რომ ახალი სახელმწიფო არ იქნება მიმართული არც ერთ სახელმწიფოს წინააღმდეგ. მისი მიზანია დაიცოს დღეს

^{*)} იხ. ნ. ჟორდანიას მოხსენებები და სიტყვები I მარტიდან 1917 წ. I მარტამდე 1919 წ.

69203



თავი და ხელი შეუწყოს იმის აღდგომას ვინც დაცემულია-
ციტით, რომ საქართველო ბრძოლის ქვეყანაა, ის საუკუნოე-
ბით მამაცურად იბრძოდა ყველა იმ ერთათვის, რომელიც
მოსახლეობდნენ მის ფარგალში. ვიტყვი მეტსაც, ის მფარვე-
ლობდა იმ ერებსაც, მის ფარგლების გარეშე რომ იყვნენ; და
თუ ჩვენ მივაქცევთ ყურადღებას მის არსებობის ისტორიას,
მას შერჩა მიდრეკილება თავის ინტერესები შეუერთოს სხვის
ინტერესებს, ამიტომ არც ერთი სახელმწიფო არ უნდა განი-
ცდიდეს მისი დაარსებით აღშფოთებას... ჩვენი იდეალია დი-
დი კავშირის შედგენა ამიერ-კავკასიაში... ის ხალხი, რომელ-
ლიც ესლა მიიღტვის ამიერ-კავკასიის მთლიანობიდან, ისევე
გამობრუნდება და დავდგებით საერთო დროშის ქვეშ...

ამის შემდეგ იგი აცხადებს საქართველოს დამოუკიდებ-
ლობის აქტს... მაისის შუქმა გაათბო ქართული მიწა. საუკუ-
ნო მონობის ბორკილთა მსხერვეა გაისმა. ტაძართა სამრე-
კლოებიდან დაიგუგუნეს ხარებმა. ას ჩვიდმეტი წლის ბრძო-
ლა ერის გასანთავისუფლებლად, ბრწყინვალეობით შეიმოსა...
მთელ კაცობრიობას ამცნო, რომ იგი მოდის დიდი წარსუ-
ლით, საკუთარი კულტურით და ერთა კავშირში თხოულობს
შესაფერ ადგილს...

იშვა ახალი საქართველო, დამყარდა ნამდვილი ხალხუ-
რი მართველობა, მან უარყო ტირანია, ძალმომრეობა. თავის-
სუფლება ერის, — ხოლო ერში თავისუფლება ყველა სფერო-
ში, — რაც გამოიხატა რესპუბლიკის კონსტიტუციაში. პოლი-
ტიკური შენობა აეგო ასევე ხალხურ სოციალურ საფუძველ-
ზე. ეკონომიკის საფუძვლად გამოცხადდა ორნაირი საკუთრე-
ბა — ერის და წვრილი მესაკუთრის. ნაციონალური და პირო-
ვნული. ორი მიმართულებით: ნაციონალური და კერძო ინი-
ციატივის ხაზით მიემართა ეროვნული ენერგია, მოკლე დროს
მანძილზე მან განსაცვიფრებელ შედეგებს მიაღწია. ყველა
მიმართულებანი დადგნენ ერის სამსახურში, მიიღეს ერის
გადაწყვეტილება აღსასრულებლად გარდა ქართველი ბოლ-
შევიკებისა, რომელთაც ამ ეროვნულ სახელმწიფოებრივ
აღორძინების წინააღმდეგ ბრძოლის დროშა ააფრიალეს.
მათ ვერ შესძლეს ქვეყნის შიგნიდან აფეთქება, და რუსეთის
ჯარს შემოუძღვენ... დაპყრობილი საქართველო განაგრძობს
ბრძოლას.

ნ. უორდანიას სიტყვები, რომ გავიმეორათ იგი «ბრძო-
ლის ქვეყანაა»... რადგან იგი თავისუფლების მოყვარულია...
და დღეს ბრძოლითა და შრომით მონაპოვარი 26 მაისი ტყვე-
ობაშია, ერი მას ბრძოლით გაანთავისუფლებს და თავისუფ-
ლების დროშას კვლავ აღმართავს...

პ. ხარჯველაძე.

აღ. კორკაიანს სიტყვა

წარმოთქმული მიუნხენში მეგნიერთა კონფერენციაზე*)

... ამ კონფერენციის მომწყობთა საყურადღებოდ მე მინდოდა მეთქვა შემდეგი: ეს კონფერენცია მოწყობილი იქნა საბჭოთა კავშირის ისტორიისა და კულტურის შემსწავლელი ინსტიტუტის მიერ, და იწოდება ემიგრანტ-მეცნიერთა კონფერენციად, მიუხედავად ამისა, რომ კონფერენციას ესწრებიან არარუსი ერების ზოგიერთი წარმომადგენლები, კონფერენცია მაინც წავიდა სავსებით რუსული დროშის ქვეშ. ამ საერთო შეკრებაზე არ ყოფილა არც ერთი მოხსენება, რომელიც გააშუქებდა არარუსი ეროვნების მეცნიერებათა მდგომარეობას, მათ ცხოვრებას და საერთოდ კულტურას, რიცხვობრივად რომლებიც წარმომადგენს ნახევარზე მეტს საბჭოთა მოსახლეობისას საბჭოთა კავშირში. უცხო მეთვალყურეს ალბად შეეკმნებოდა შთაბეჭდილება, რომ საბჭოთა კავშირში არსებობს მხოლოდ რუსული მეცნიერება და იმყოფებიან მხოლოდ რუსი მეცნიერული მუშაკები. მართალია, ამა თუ იმ სექციაში დაშვებული იყო ორი თუ სამი მოხსენება არარუსი ხალხების ცხოვრებიდან, და ჩვენი თანამემამულე კავკასიელი, პროფ. ავტორხანოვი ლებულობდა მისში ახლო მონაწილეობას, მაგრამ ამით საერთო სურათი არაერთაა შემთხვევაში არ იცვლება. ამ საქმის ინიციატორებს უნდა მოეწვიათ სწავლულები ყველა ეროვნებებიდან და მათთან ერთად უნდა გამოემუშავათ პროგრამა კონფერენციისა, მაშინ ალბად არ ექნებოდა ადგილი იმ ხარვეზს რასაც დღეს ვამჩნევთ.

მაგალითად, ქართველი სწავლულები არ ყოფილან ჩაბმული მუშაობაში. მე არა მაქვს პატივი ვეკუთვნოდე სწავლულთა კორპორაციას, და ამავე კონფერენციაზე მოწვეული ვარ საერთოდ, როგორც ქართველების წარმომადგენელი...

თუ გვინდა გარეშე ქვეყნებზე მოვახდინოთ მეტი საგარძნობი შთაბეჭდილება, და თუ მართლაც ამ ინსტიტუტს უნდა შეასრულოს მასზე დაკისრებული ამოცანა, მაშინ ის შეცდომა, რაც დაშვებული იქნა პირველი კონფერენციის მოწვევისას, არ უნდა განმეორდეს შემდეგში და დროზე უნდა გამოსწორდეს.

მე მაინც იძულებული ვარ შევეხო ამ საქმის პოლიტიკურ მხარეს, რომელიც ბატონობს საბჭოთა კავშირში. ამის შესახებ საგარძნობლად იყო თქმული ამ კონფერენციაზე გამოსული ორატორების მიერ. აქ გაისმა ხმა რომელიც მოგვი-

*) მოგვყავს შემოკლებით.

წოდებდა ყველას გაერთიანებისაკენ საერთო მტრის—ბოლშევიზმის წინააღმდეგ. ჩვენ—წარმომადგენლები არარუსი ეროვნებათა, რომლებიც გაერთიანებულები ვართ ამა თუ იმ ორგანიზაციებში, სამწუხაროდ, დღესაც არა გვაქვს რუსული ორგანიზაციებთან კონტაქტი. ორი წლის წინად მიუზნენში, ბოლშევიზმის მიერ დამონებული 18 ერების წარმომადგენლებმა მოაწყვეს მიტინგი პროტესტისა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ამ მიტინგზე არ ყოფილან მხოლოდ რუსები... ეს იქნა აღნიშნული ჩემს მიერ. მე ჩემი გამოხვლით ამ მიტინგზე შევეცადე მომეყვანა ფორმულები ჩვენი ურთიერთობისა რუსებთან... რაც მოწონებული იყო დამსწრეთა მიერ.

და დღესაც მე მინდა გამოვიყენო ეს ტრიბუნა და ერთხელ კიდევ ხაზი გაუსვა ჩვენს დამოკიდებულებას რუსებთან, მით უფრო, რომ აქ ვხედავ დამსწრეთა შორის ცნობილ რუს პოლიტიკურ მოღვაწეებს, რომელთანაც თქვენ ბატონო სწავლულებო, მრავალ თქვენგანს ალბად მოუხდება მხურვალე მონაწილეობის მიღება ახალი წყობის დასაფუძნავად თავისუფალ რუსეთში... მე ნებას მივცემ ჩემს თავს თქვენი ნება-რთვით მოვიყვანო ზოგიერთი ციტატები მაშინდელი ჩემი სიტყვიდან, რომელიც დაბეჭდილი იყო ერთ ერთს ადგილობრივ გაზეთში (კითხულობს):

«ბოლშევიკების მიერ დამონებული ერების წარმომადგენლები თითქმის გაერთიანებულნი არიან ამა თუ იმ პოლიტიკურ ორგანიზაციებში და აწარმოებენ ხელჩაკიდებულ ბრძოლას საერთო მტრის წინააღმდეგ. მხოლოდ წარმომადგენლები რუსი ხალხისა ჯერჯერობით არიან გვერდით, ე. ი. არა ჩვენთან. რუსულ პრესაში ხშირად გაისმის ხმები ჩვენს მისამართზე, ბრალს გვდებენ რუსი ხალხის ბოლშევიზმში გაიგივებაში. იყო აგრეთვე ხმა ცალმხრივად, ერთად თანამშრომლობაზე, სადაც გვთხოვდნენ დაგვევიწყებინა «შეცდომები მამებისა», რაც მათმა ჩვენს მიმართ მოიმოქმედეს.

ამის თაობაზე ჩვენ ხმა მალა ვაცხადებთ, რომ მიუხედავად მეფის მთავრობისა, და განსაკუთრებით საბჭოთა მთავრობისა, რომელთა მიერ ხდებოდა და ხდება რუსის ხალხის სახელით მლადადებელი უსამართლობანი იმ ხალხების მიმართ, რომლებიც მოექცენ სსრკ შემადგენლობაში და ყოფილი იმპერიის ფარგლებში თავიანთი სურვილის წინააღმდეგ; ჩვენ მაინც არ გვაქვს სურვილი სამაგიეროს გადახდისა და არც შოვინისტური განწყობილებანი რუსი ხალხის წინააღმდეგ, რომელიც აგრეთვე იტანება ბოლშევიზმის მიერ, როგორც ჩვენ. ესლანდელი პოლიტიკური მომენტი მოითხოვს ყველა ანტიბოლშევიკური ძალების გაერთიანებას, და თუ რუსებს სურთ ჩაებან ანტიბოლშევიკურ ფრონტში, იმათმა უნდა ნათლად და გარკვეულად განაცხადონ: იზიარებენ თუ არა ისინი დემოკრატიულ პრინციპებს, რომლებიც წამოყენებული არიან დიადი დემოკრატიის წარმომადგენლების

მიერ ატლანტიურ ქარტიაში, და ამით სცნობენ თუ არა ისინი ჩვენს საღვთო უფლებას ჩვენი ცხოვრების საკუთარი მოწყობით თუ არა? ცნობა ამ პრინციპისა იქნებოდა ასე თუ ისე ხელის აღება იმპერიალისტური სურვილებიდან, როგორც ყოფილი მეფის მთავრობისა, ისე საბჭოთა კავშირის მთავრობისა. არა «სრულიად რუსეთის» დამფუძნებელ კრებამ, რაც ხშირად გვესმის რუსული პრესიდან, უნდა გადასწყვიტოს ბედი საბჭოთა კავშირში მოქცეული ერებისა, არამედ თვით ამ ერებმა და მათმა კომპეტენტურმა ეროვნულმა დაწესებულებამ უნდა გადაჭრას ეს საკითხი. ისტორიული მომენტი მოითხოვს დაუყონებლივ პასუხს რუსული ემიგრაციის პოლიტიკური წარმომადგენლებისაგან ამ კითხვაზე».

ბატონებო! ასეთი იყო ჩვენი გრძნობა რუსის ხალხისადმი და მათი წარმომადგენლებისადმი ემიგრაციაში. ჩვენ, სამწუხაროდ, დღესაც არ გვაქვს პასუხი ადგილობრივი რუსული ორგანიზაციებიდან ამ ჩვენს წინადადებაზე. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სწავლულები, არ არიან დამოკიდებულნი არავითარი პარტიული დოგმებისადმი, და თავისუფალნი არიან თავიანთ მოქმედებაში, ამიტომ უნდა სთქვან თავიანთი მტკიცე სიტყვა ამ საქმის გამო და გაგვიადვილონ ჩვენ ვითარება, რათა თქვენთან ერთად დაეხსნეთ ერთს მაგიდაზე, რომ ვიმუშაოთ ნაყოფიერად ჩვენი საერთო მტრის წინააღმდეგ. თუ პრინციპი ეროვნებათა თვითგამორკვევისა არ იქნება ცნობილი, მაშინ ძნელი იქნება ჩვენს შორის გამოინახოს საერთო ენა. ჩვენ გვესმის, რომ თავისუფალი ერები უნდა გაერთიანდნენ. მაგრამ ეს უფლება თუ შეიძლებოდა დაგვიტოვებოდა ჩვენ თვითონ! (ტაშისცემა).

ბოლშევიზმის დანგრევის შემდეგ თუ ჩვენ ვისთან უნდა ვიყვეთ ფედერაციაში, ეს არის არა მოსკოვის დროებითი მთავრობის, თუ რუსეთის დამფუძნებელი კრების საქმე, არამედ ეს უფლება ეკუთვნის თვით ამ ერებს. და მათმა კომპეტენტურმა ეროვნულმა წარმომადგენლობამ უნდა გადასჭრას კითხვა, თუ რომელ ევროპულს გაერთიანებაში ჩვენ შევალთ (ტაშისცემა).

ჩვენ, ქართველები, არა ვართ შოვინისტები. და არ ვანვიცდით არავითარ სიძულვილს რუსის ხალხის მიმართ, რომლის სახელითაც წარსულში და აწმყაშიც კეთდებოდა და კეთდება მლალადებელი ფაქტები უსამართლობისა ჩვენი ერის მიმართ.

ბოლშევიზმის დანგრევის შემდეგ მთელი ჩვენი უმთავრესი მისწრაფება იქნება კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარება, როგორც რუსის, ისე სხვა ხალხებთან.

აქ ბევრი ილაპარაკეს ჩინგის-ხანზე, მე მესმის პროტესტი თურქის ხალხებისა—ჩვენ, ქართველებმაც განვიცადეთ ტანჯვა ჩინგისხანის შემოსევისაგან, მაგრამ რალაც უცნაუ-

რად, ჩინგის-ხანის დროს შევიწარმეთ ნაციონალური დამოუკიდებლობა, მეფის მთავრობისა და საბჭოთა წყობის დროს ჩვენ ეს ვერ შევსძელით.

თუ ჩვენ არ გვინდა, რომ ის ბელზებელი თუ ეშმაკი, როგორც დღეს აქ კონფერენციაზე იხსენიებდნენ კრემლის დღევანდელ მპყრობელს, თავის მეფისტოფელური ღიმილით დაგვცინოდეს ჩვენ და ჩვენ ხალხებს, იმ შემთხვევაში ხელინელს მივცეთ, მოვნახოთ საერთო ენა, და ვიმუშაოთ ერთად რაც შეიძლება ჩქარა გასანთავისუფლებლად ჩვენი ხალხებისა ბოლშევიზმის ტირანიისაგან! (ტაშის ცემა).

შუბღარუკო გამოლაშქრება.

როგორც იყო პარიზის მემარჯვენე ემიგრაციის ერთმა ნაწილმა გამოარკვია და გამოგვიცხადა თავისი პოლიტიკური და ნაციონალური ვინაობა; «ივერია» (№ 3) გამოეყო ემიგრაციას, საქართველოს და ააფრიალა თავისი დროშა. ის სახსებობით ჩამოშორდა თანამედროვე ქართველ ერს და მისი გამოლაშქრება მიმართულია პირველ ყოვლისა უცხოეთში მყოფ ერის უფლებრივ წარმომადგენლის წინააღმდეგ,—ეს არის, უნდათ თუ არ უნდათ მის ხელმძღვანელთ, ობიექტიურად მოსკოვისთვის დიდი სამსახურის გაწევა. ის დიდი ხანია ებრძვის ჩვენს ნაციონალურ მთავრობას და მის მუშაობას, თუ ესლა ქართველებიც იმოვეს მომხრენი ამ ბრძოლისთვის—ეს იქნება მოსკოვის დიდი გამარჯვება. «ივერია»-ს ახალ ნომერში თითქმის ყველა წერილები ნ. ჟორდანიას და მის მთავრობის წინააღმდეგ არის მიმართული; სამშობლოს მტერი, ბოლშევიზმი კი მივიწყებულია. ერთისიტყვით თუ ეს ორგანო პარტიულ პოზიციას გამოხატავს, უნდა დავასკვნათ, რომ ნაც.-დემოკრატები მეტათ დაპატარავდენ, პატარიძეებთ განდენ და შეუდგენ საშინაო ფრონტის ნგრევას. ამ სახეობის დასაფარავათ ისინი ებრძვიან ქართველ სოც.-დემოკრატებს, მას აცხადებენ ბოლშევიკათ და ეს იმ საბუთით, რომ ორივე მარქსისტებიან. საკმარისია გადახედოთ მარქსის თხზულებას «კაპიტალს», რომ დაინახოთ, მარქსიზმის მთელი დოქტრინა უხება მხოლოდ სამრეწველო ერს და არავითარი კავშირი არ აქვს არა სამრეწველო აგრარიულ ერთან. ხოლო რუსეთი და ჩინეთი სადაც შინაური რევოლიუციით განდენ ბოლშევიკურ ერებათ, არავითარი კავშირი არ აქვს მარქსთან და მის «კაპიტალთან»^{*)}. აგრარიული საკითხი ძველის ძველი მოვლენაა, მის გადაუჭრელობამ დაანგრია რომის იმპერია, დაანგრია

^{*)} ამ საკითხზე იხილეთ ნ. ჟორდანიას მოხსენება «ჩვენი დროშა» № 1.

მრავალი ახალი სახელმწიფონი და ჩააბა სამოსკოვო ქსელში. ქართველ ერსაც ასეთი ამბავი მოუვიდოდა, მისი წყობა შიგნიდან აფეთქდებოდა, რომ თავის დროზე აგრარიული რეფორმა არ მომხდარიყო. ჩვენი მემარჯვენენი სწორედ ამიტომ ებრძვიან ჩვენს მთავრობას, ჩვენს პარტიას. ეს ბრძოლა დაიწყეს ჯერ კიდევ სამშობლოში. მემარჯვენეთა დღევანდელი ლიდერის რ. გაბაშვილის სიტყვა შესახებ მიწათმფლობელობისა წარმოთქმული პარლამენტში 1918 წ. მოყვანილია მაშინდელ პრესაში. აი რა სთქვა მან: ბ. რ. გაბაშვილი უკმაყოფილებას აცხადებს იმის შესახებ, რომ მემამულეებს ჩამოართვეს მიწები სოფლად, ეხლა კი ასეთ საქმეს სჩადის მთავრობა ქალაქებში, ართმევს სამკუთრნალო წყლებს კერძო პირებს და აი ამას იგი ეძახის ყაჩაღობას... (იხ. «საქართველოს რესპუბლიკა» № 103).

აი ეხლა მან დარაზმა ამ ნიადაგზე გზა-აბნეული ზოგერთი მემარჯვენენი და ააფრიალა დროშა, რეჟიმი უწინარეს ყოვლისა.

ძველი «ივერიის» მიმართულებას ეხლა თავისათ აცხადებენ და გაბაშვილ-პატარბქეს ილია ჭავჭავაძის მემკვიდრეებთ მოაქეთ თავი. უჩვეულოა ჩვენთვის ეს როლი, მაგრამ ჩვენ უნდა დავიცვათ ილია ჭავჭავაძე ამ პატარა კაცუნების პრეტენზიებიდან, ილია ჭავჭავაძის პოლიტიკურ და სოციალურ კონცეპციასთან ქართველ სოც.-დემოკრატიის ბრძოლა დემოკრატიულ და ნაციონალურ პროგრამის ნიადაგზე, რაც ქართველმა ერმა მიიღო და განახორციელა 26 მაისს, ეს ქართული ისტორიის საამაყო ფურცელს წარმოადგენს. გაბაშვილ-პატარბქეების უმგვანო, დღევანდელ ინტრიგებს არაფერი საერთო არ აქვს ამ ეპოქასთან. ამ გზააბნეულთ ბურბონებივით არაფერი არ უსწავლიათ და არც არაფერი დავიწყნიათ. ისინი არ ცნობენ არა მარტო ნაციონალურ მთავრობას, არამედ ამასთან არც დამფუძნებელ კრებას, რომელშიც ის აღჭურვა განსაკუთრებული მანდატით. პარიზის ქართველობამ ისინი თავიდან მოიცილა, დაგმო მათი მეთაურობა და დაიცვა თავისი პოლიტიკური წარსული და აწმყო. რეაქციონერებს ადგილი არ აქვს ემიგრაციაში, რომელიც გამოსულია არა შინაური წყობილების უკმაყოფილებით, არამედ უცხო ძალის გაბატონებით, ერის თავისუფლების მოსპობით და დამონებით. ვინც ამ ხაზს შორდება ის ემსახურება, მათდა უნებურათ, ჩვენს მტრებს.

დასასრულ იმავე «ივერიის» მესამე ნომერში ერთი პუბლიცისტთავანი ნ. ყორდანიას დინასტიაზე ლაპარაკობს და თან დაუფარავ მუქარასაც რალაც საბუთების გამოქვეყნებას დასძენს.

დინასტია ალბათ ავტორისთვის გაუგებარი სიტყვაა. ნ. ყორდანია თავისუფალ საქართველოს მიერ არჩეული პრეზიდენტი. ამ ხარისხით იგი დარჩება სანამ ქართველი ხალხი

არ გადაყენებს. როცა ნ. ქორდანია მის მანდატს იცავს, ის მხოლოდ ქვეყნის წინაშე თავის უწმინდეს მოვალეობას ასრულებს, ამ გზით ის ქართველის ერის უზენაესობის ემბლემას მომავალ თაობას უნახავს ეს ყველა გულწრფელ პატრიოტიკისთვის ნათელია. რაც შეეხება მუქარას, ამაზე ჩვენი პასუხი ასეთია: ნაციონალური მთავრობა საქართველოს ინტერესებით არ ვაპრობს. მისი ნაბიჯები ქვეყნის განთავისუფლების მიზნით არის ნაკარნახევი. ის ფარულად არაფერს აკეთებს. ცხადია ყველას აქვს უფლება ეს ნაბიჯები არ მოიწონოს და თავისუფლად აკრიტიკოს მიზანშეწონილობის თვალსაზრისით. მაგრამ მის მოქმედებათა მოტივების ექვემდებარება დაყენება მხოლოდ სულმდაბალ ადამიანს შეუძლია.

ჩვენ ვიცით, რომ ეს მუქარა უკვე განხორციელებულია საფრანგეთის ადმინისტრაციის წინაშე. მაგრამ ჩვენ ისიც ვიცით, რომ საფრანგეთის ხელისუფლებამ შესაფერისად დააფასა იგი, ვინაიდან მან კარგად გაიგო, რომ საქართველოს წარმომადგენელთ არავითარი შეუფერებლობა არ ჩაუდენია. პირიქით, რთულ დამძიმე პირობებში მათ ღირსეულათ შეასრულეს თავიანთი მოვალეობა ქვეყნის და ემიგრაციის წინაშე.

ვეჭვობთ, რომ «ივერია»-ს პუბლიცისტებმა ამით რაიმე გაიგონ, ან მოინდომონ გაგება, მაგრამ ჩვენ ხომ მათთვის არ ვწერთ.

XXX.

ახირებული წერილი.

«ივერია»-ს მესამე ნომერში დაბეჭდილია წერილი მობართული ჩემს მისამართზე. წერილს ხელს აწერს ოთხი ყოფილი საბჭოელი ქართველი. არც ერთს მათგანს არც ვიცნობდი, არც დღეს ვიცნობ და იმედი მაქვს არც გავიცნობ.

ასეთ წერილზე არსებითად პასუხის გაცემა, რასაკვირველია, თავის დამცირება იქნებოდა, მარა ზოგი რამის აღნიშვნა მაინც საუიროთ მიმჩნია.

1. წერილს აქვს უცნაური სათაური: «კოტე აფხაზის სისხლი თურმე თეთრი ყოფილა». რა შუაშია აქ განსვენებული კ. აფხაზი—ვერ გამიგია. შეიძლება ჩემს «ოპონენტებს» ჰგონიათ რომ კ. აფხაზი იყო ნაც.-დემ. პარტიის დამაარსებელი, ანდა მისი ხელმძღვანელი. მარა ამ შემთხვევაშიაც გაუგებარია მისი სახელის ხსენება, რადგან, იმ კერძო წერილში, რომელიც ჩემმა «ოპონენტებმა», ჩემდა დაუკითხავად, ასე უცერემონიოთ, გაზეთის ფურცლებზე გამოიტანეს—კ. აფხაზი არსად მიხსენებია; და არც შემემძლო მესხენებია, რადგან მე მტკიცედ ვიცავ ქართველი ემიგრაციის საუკეთესო ნაწილის იმ წმინდა ტრადიციას, რომლის თანახმად, სამშობლოს საკურთხეველზე მსხვერპლათ შეწირული, ვინც არ უნდა იყოს

ის—ეკუთნის ქართველი ერის პანთონს და არა რომელიმე ჯგუფს თუ პარტიას. დღემდის ქართველ ემიგრაციაში ამ წმინდა ტრადიციის დარღვევა მეტად საძრახის საქმეთ ითვლებოდა. დღეს კი მას ასე უხეშათ არღვევს «ივერია» და თავის ფურცლებზე ნებას აძლევს ყველა გამველელ-გამომველს ამოფაროს ამ ძვირფას საფლავებს და იქიდან მოწინააღმდეგეს კენჭები ესროლოს. ექვი არაა ეს სამარცხვინო ლაქა სამუდამოთ დარჩება «ივერია» ზე და მის ხელმძღვანელებზე.

2. წერილი თავდება ასე: «თქვენის ანგარიშით საქ. დამფ. კრების არჩევნებში 95 პროც. თქვენი პარტიისათვის მიუცია ხმა. ჩვენ გაგვიგონია და გვინახავს კიდევ, რომ ხალხის 95 პროც. არაა, 99,9 პროც. აძლევდა ხმას ერთ პარტიას და ამ ციფრებს ჩვენს თავში და გულში ძალიან ცუდი ხსოვნა აქვს დატოვებული—კარგი იყდ არ მოგვეგონებიათ»-ო.

როგორც ხედავთ ის რაც მოხდა ჩვენი ქვეყნის თავისუფლების დროს, როცა მთელი ქართველი ხალხის ნება-უფლება მართლაც რომ მაქსიმალურათ იყო დაცული—გათანაბრებულია იმ «ეულიკურ» არჩევნებთან, რომელიც ხდება სისხლიან საბჭოთა ტირანიაში. ამაზე მეტი დაცინვა, ამაზე მეტი შეურაცყოფა დამოუკიდებელი და თავისუფალი საქართველოსი და მისი წესების—მართლა რომ აღარ შეიძლება! მარა, როგორ ბედავს «ივერია», რომელიც თავის ურა-პატრიოტიზმზე ყვირილით ქვეყანას აყრუებს—ასეთი სისაძაგლეები თავის ფურცლებზე გამოიტანოს?! თუმცა არც ესაა გასაკვირი, რადგან, როცა პატრიოტიზმი სპეკულიაციის საგნად გახდება—ყოველთვის ასე თავდება.

დღემდის თავისუფალი საქართველოს მთავრობის, მისი დაწესებულებების და წესების ლანძღვა-გინება შეადგენდა ჩეკისტების მონოპოლიას. დღეს, როგორც სჩანს, ამ გზას «ივერია»-ც დასდგომია და, იქვი არაა, თუ ასე გაგრძელდა დიდ წარმატებასაც მიაღწევს...

3. როგორც ამბობენ, საბჭოთა რეჟიმში სხვისი კერძო წერილების კითხვა და საჯაროთ გამოტანა საძრახის საქმეთ არ ითვლება. პირიქით, იქ ასეთ წერილებს სხვები უფრო ადრე კითხულობენ, ვინემ «ადრესატები». მარა, ნუთუ «ივერია»-ს დღევანდელი ხელმძღვანელობა ისე დაეცა, რომ ეს სამარცხვინო საქმე თავის ხელობათ გაიხადა!

4. ჩემი «ოპონენტები» მედიდურათ სწერენ:—«თქვენ გვეკითხებით», «თქვენ მიერ ჩვენდამი მოწერილ ბარათზე—საპიროთ მივიმჩნიეთ პრესის საშვალეებით გაგვეცა პასუხი»-ო და სხვა ასეთები. არც შევკითხებივარ ოდესმე, არც რაიმე ბარათი მიმიწერია და დღესაც არ ვიცი ვინ არიან და საიდან გაჩნდნ ეს «არამკითხე-მოამბენი»!

მართალია ის რომ ერთ მათგანს მართლაც მივსწერე ამ ერთი წლის წინეთ კერძო წერილი. ეს არის ბ. ქიმერიძე, რომელსაც პირადათ დღესაც არ ვიცნობ. მას ვიცნობდი ამხ. ე.

რამიშვილის წერილით ავსტრიიდან, რომელმაც გამომიგზავნა მისი რამდენიმე ლექსი დასაბეჭდად და ერთი-ორი კიდევაც დაუბეჭდე. ვიცოდი ისიც, რომ იმავე ე. რამიშვილის დახმარებით სხვებთან ერთად ის გადმოვიდა სოჭოში და როცა «ივერია»-ს მე 2 ნომერში დაიბეჭდა ყოფილი საბჭოელების მოწოდება—მომავლენა მისი სოჭოში ყოფნა და მივმართე, როგორც უცნობ-ნაცნობს, კერძო წერილით, ეცნობებია მისი აზრი იმ საკითხებზე, რომელიც მაინტერესებდა და რომელიც აღნიშნული იყო დაბეჭდილ მოწოდებაში. ბ. ქიმერიძემ მიპასუხა თავაზიანათ. მის ვრცელ პასუხს უპირავს ოთხი გვერდი დიდი ფორმატის ქალაღღზე დაწერილი წვრილი ხელით. მე მადლობით უპასუხე და ამით დასრულდა ჩვენი მიწერ-მოწერა. ეს იყო შარშან იანვარში. წელს, სწორეთ ერთი წლის შემდეგ, ჩემს ქიმერიძისადმი მიწერილ კერძო წერილს დაპატრონებია ვიღაც ქაჯიაშვილი, ვიღაც ქურციკიძე, ვიღაც ემუხვარი და სოჭოს ნაც.-დემ. ორგანიზაციის დავალებით, როგორც თვითონ აცხადებენ, იმავე ქიმერიძესთან ერთად ხელს აწერენ იმ უმსგავსო წერილს, რომელიც ასეთი კმაყოფილებით მოათავსა «ივერია»-მ.

ნათქვამია—ხარი ხართან დააბი ან ზნეს იცვლის ან ფერსაო. და აღსანიშნავათ—თუ როგორ უცვლია ბ. ქიმერიძეს ფერიც და ზნეც—მე იძულებული ვარ მისი ჩემდამო პასუხიდან მოვიყვანო ზოგიერთი ადგილები. აი ეს ადგილები:

«პ-დ ყოვლისა მინდა მოგახსენოთ გულითადი მადლობა პირადი წერილისათვის. რომ არავითარი გაუგებრობა არ მოხთეს საუკროთ ვსცანი, როგორც პირად წერილზე მე თვითონ პირადად გაგვეთ პასუხი თქვენთვის საინტერესო კითხვებზე. რასაკვირველია შეძლებისა და გვართ»..... «თქვენ დაგისახავთ მიხნათ და გულ-წრფელათ გაინტერესებთ გამოარკვიოთ ე. წ. «მანტალიტე» იმ ახალგაზრდების, რომლებსაც ახლებს უწოდებთ, ჩამოსულებს საქართველოდან! ამ კითხვაზე მე შემიძლია მხოლოდ ჩემს პირად პიროვნებაზე მოგითხროთ, ვინაიდან სხვა მეგობართა აზრების გამომხეურება ჩემს მოვალეობაში არ შედის».....

..... «ჩემთვის და ქართველი ერისათვის გასაგებია ის, რომ პ-ლმა ბ ნმა ნ. ჟორდანიამ 1918 წ. 26 მაისს გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობა. გვეჯერა და ფაქტია ის ისტორიული ამბავიც, რომ მისი მადლიანი მოღვაწეობით ბევრი კარგი გაკეთდა ერის კეთილდღეობისათვის. ამიტომ ქართველი ერი მუდამ პატივს სცემდა მას და მის საუკეთესო თანამებრძოლთ. ეს ყოველივე ჩაწერილია ქართველი ხალხის ბრძოლის ისტორიაში და არავის უფლება არ აქვს ყველაფერი ეს დავიწყებას მისცეს ანდა მისი ღვაწლი შელახოს».....

..... «ჩვენი ახალგაზრდობის მოწოდების იმ რედაქციით, რომელიც თქვენ წაიკითხეთ «ივერია»-ს მე-2, მე პირადად დიდი უკმაყოფილო და წინააღმდეგი ვარ ზოგიერთი მისი მუხ-

ლებს, რაც გადაჭარბებულათ მეჩვენება და თქვენ მართალი ბრძანდებით, როდესაც მას შენიშნავთ. დარწმუნებული იყავით რომ ახალგაზრდობა ასეთ შეცდომებს არ დაუშვებს არასოდეს»... და სხ. და სხ.

შეადარეთ ყოველივე ეს იმას, რასაც სწორედ ახლა იგივე ქიმიკი და მისი ამსონები «ივერია» ში და თქვენ ერთხელ კიდევ ზედ-მეტათ დარწმუნდებით, რამდენათ მართალი იყო აკაკი, როცა სწერდა:

«ანწლისაგან არ ივარგებს, რომ გაკეთდეს სტვირი,
«საპნითაც არ გათეთრდება კაცის შავი პირი...»

გწ. ურატაძე.

ძაკთველობა უცხოეთში.

გვეგონი გვემკვალის დაბადების დღე.

ამა წლის 29 აპრილს ევ. გეგეჭკორის ბინაზე პარიზში თავი მოიყარეს მისმა ახლო მეგობრებმა და აგრეთვე სხვა და სხვა პარტიების წარმომადგენლებმა, რომლებმაც მიულოცეს დაბადების დღე—ჩვენს ძვირფას ხელმძღვანელს. მისასალმებელ სიტყვებში ორატორებმა აღნიშნეს რა მისი დაუღალავი მუშაობა ქართული საქმის საკეთილდღეოდ ნ. ყორდანი ას გვერდით,—უსურვეს მხნეობა და დღევრძელობა ეროვნული საქმის საწარმოებლად. ბ. ევგენიმ ყველას მადლობა გადაუხადა და დაასკვნა, რომ მისი დიდი ხნის გამოცდილება და მისი ძალა იყო და რჩება ბოლომდე ქართველი ერის სამსახურში.

პ ა რ ი ზ ი.

1. აპრილს 1951 წ. შესდგა ქართველთა სათვისტომოს წლიური კრება, რომელმაც მოისმინა რა ვრცელი მოხსენება გამგეობის წასრული მუშაობის შესახებ, ერთხმად მადლობა გადაუხადა გამგეობას და მის თავმჯდომარეს ნაყოფიერი მუშაობისთვის და აირჩია სათვისტომოს თავმჯდომარეთ შ. აბდუშელი, ხოლო გამგეობის წევრებათ: გ. ნოზაძე, ვ. ინწკირველი, თ. ანთაძე, აკ. გამსახურდია, ნ. ყურულაშვილი, გ. წერეთელი და ვ. ელიზბარაშვილი. სარევიზიო კომისიის წევრებათ: აკ. ასათიანი, პრ. ინწკირველი და გრ. მოდებაძე.

წერილი დასავლეთ გერმანიიდან.

გერმანიაში წარმოგზავნილ ხოვარდის უნივერსიტეტის კომისიის დახმარებით მიუნხენში დაარსდა სამეცნიერო ინსტიტუტი, რომლის მიზანია საბჭოთა კავშირის ხალხთა ისტორიის და კულტურის შესწავლა და მისი გაშუქება დასავლეთ ევროპის საზოგადოებისთვის. ამ ინსტიტუტის მიერ იყო მიმდინარე წლის იანვრის თვეში მოწვეული საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი.

ვშირიდან გადმოხიზნულ მეცნიერთა კონფერენცია. რომელზედაც მიწვეული იყო სტუმრად ჩვენი სათვისტომოს თავმჯდომარე ა. კორძაია, რომელმაც თავის დასაწყის სიტყვაში აღნიშნა, რომ ამ კონფერენციას არ ესწრებიან რუსეთის კავშირში მყოფ ერთა წარმომადგენელნი და გამოსთქვა იმედი, რომ შემდეგში ეს ნაკლი იქნებოდა გამოსწორებულ.

მეორე მნიშვნელოვანი შემთხვევა იყო მარტში მოწვეული კონფერენცია საბჭოთა კავშირში მოქცეულ ერების წარმომადგენლებისა, რომლის მოწვევის ინიციატივა ეკუთვნოდა უკრაინის ცენტრალურ რადას.

ქართველთა მხრივ დაესწრენ ბ. ბ. ალ. კორძაია და ნიკო ნაკაშიძე. უნდა აღინიშნოს, რომ ბ. ნ. ნაკაშიძის გამოსვლამ წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვეს კონფერენციის წევრებზე, რომელმაც აღნიშნა; საქართველოს დამოუკიდებლობისა და მის ნაციონალურ უფლებათა დაცვის საქმეში ქართველ ემიგრაციაში სუფევს მტკიცე ერთსულოვნება.

ეროვნულ საკითხში არავითარი განსხვავება არ არის ქართველ სოციალისტებსა და ქართველ ნაციონალისტებს შორის. ამ კონფერენციაზე ერთი აზრით მოვედით, მე უკიდურესი ქართველი ნაციონალისტი და ბ. ალ. კორძაია ქართველი სოც.-დემოკრატი. უწინარეს ყოველისა ჩვენი მრწამსი საქართველოა და მისი ეროვნული თავისუფლებათა განაცხადება. ნაკაშიძემ. ეს იყო მართლაც ქართული ეროვნობის დემონსტრაცია უცხოელთა შორის. ბ. ნ. ნაკაშიძეს მოჰყავდა ციტატები საქარ. დემ. რესპ. საგარეო საქმეთა მინისტრის ევგენი გვგუქორისა ეჭურ. «ჩვენი დროშა»-დან.

1 აპრილს შესდგა სათვისტომოს საზოგადო კრება გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წლიური მუშაობის ანგარიშის მოსასმენათ. სათვისტომოს თავმჯდომარის ალ. კორძაიას მოხსენების შემდეგ კრებამ მადლობა გადაუხადა მას დაუღალავ და ენერგიულ მუშაობისთვის. კრებამ ერთხმად აირჩია ბ. ალ. კორძაია თავმჯდომარეთ, გამგეობის წევრებათ არჩეული არიან: ბ. ბ. რომან ფარძინი, ალ. ქველიაშვილი, გ. კობახიძე და ი. კუჭუხიძე. სარევიზიო კომისიაში: ბ. ბ. გ. მაღალაშვილი, ნიკო ნაკაშიძე და ჯ. ანბეტელი. საპატიო სასამართლოს წევრებათ არჩეული არიან: პროფ. მიხ. წერეთელი, დათა ვაჩნაძე და მიხ. ალშიბაია.

ამავე საზოგადო კრებამ მოისმინა გამგ. თავმჯ. ა. კორძაიას ინფორმაცია ბ. ბ. არ. მეტრეველისა და დეკ. ალ. დემეტრაშვილის გამთიშველ და პროგოკაციულ მუშაობის შესახებ კრებამ დაადგინა: დავეალოს გამგეობას მიიღოს ხსენებულ პირების მიმართ კატეგორიული ზომები და გამთიშველი საქმიანობა ეცნობოს ფართე ქართველ საზოგადოებას, აგრეთვე ხელისუფლების ორგანოებს და ყველა ეროვნებათა კომიტეტებს.

მ. ლ.

ავსტრია.

ორ გერმანულ სოც.-დემ. გაზეთში ავსტრიაში დაიბეჭდა დიდი წერილი ნიკო იმნაიშვილის შესახებ საქართველოს ბოლშევიკების მიერ დაპყრობის 30 წლის თავისა. უადგილობის გამო ამ წერილს ჩვენ ჟურნალში ვერ ვათავსებთ ამჟამათ, მაგრამ აღსანიშნავია ის ფაქტი, თუ როგორი ყურადღებით და თანაგრძობით ეპყრობიან გერმანელები ჩვენს საკითხს. ეს სჩანს იქიდანაც, რომ თვით რედაქციამ აღნიშნა მოწინავე წერილით ჩვენი დაპყრობის 30 წ. და აჯანყების 25 წლის თავი.

წიკილი რედაქციის მიხრატ.

ღრმად პატივცემულო ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ თქვენს პატივცემულ ჟურნალის «ჩვენი დროშა»-ს ფურცლებზე ადგილი დაუთმოთ ჩემს ქვემოთ განცხადებას, რისთვისაც წინასწარ უღრმეს მადლობას მოგახსენებთ:

მიმდინარე წლის მარტიდან გაეწყვიტე ყოველგვარი კავშირი გაზეთ «საქართველო»-ს რედაქციასთან (რომელიც გამოდის მიუნხენში ბ. არჩილ მეტრეველის რედაქტორობით) იმ უთანხმოების გამო, რაც მოხდა ჩემსა და ხსენებულ გაზეთის რედაქტორს შორის; პარიზში დაარსებულ «ქართულ ეროვნულ ცენტრთან» ჩვენი დამოკიდებულების გამო.

მე არ ვიზიარებ ემიგრაციაში შექმნილ ჯგუფობრივობას და მთელი შეგნებით მხარს ვუჭერ ისეთ ქართულ ეროვნულ ცენტრს, სადაც წარმოდგენილი იქნებიან ყველა ეროვნული ძალები და რომელიც მტკიცედ ითანამშრომლებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ნაციონალურ მთავრობასთან.

ამასთან დაკავშირებით გაზ. «საქართველო»-ს რედაქციას არა აქვს უფლება № 3-დან განაგრძოს ჩემი «ქართული სულის» ბეჭდვა.

ღრმა პატივისცემით მინდია ლაშაუნი.

მიუნხენი, 1951 წელი.

ძალბატონი ოლია ჯაფარიძისა.

ამა წლის 27 მარტს პარიზში გულის ავთმყოფობით გარდაიცვალა ოლია იოსელიანის ასული ჯაფარიძისა, რამაც დიდი მწუხარება გამოიწვია, როგორც ქართულ კოლონიაში ისე მისი ოჯახის მეგობარ-ნაცნობ უცხოელებში.

ქალბატონ ოლიამ სწავლის დასრულების შემდეგ აირჩია აღმზრდელობის როლი, რაც ჭეშმარიტათ მისი გონების და მორალის უტყუარი გამომხატველი იყო. ეპარქიულ სასწავლებელში, სადაც ის მასწავლებლობდა, მისდამი დიდი პატივისცემით იყვნენ გამსჭვალულნი, როგორც მოსწავლენი, ისე მასწავლებლენი. ჩვენი ქვეყნის დაპყრობის შემდეგ იგი ვეღარ

შევეგუა დამპყრობელთა მიერ გამეფებულ წესებს და ქმარ-
შვილით საფრანგეთს შემოეჩინა. აქ მას და მის ოჯახს ნივ-
თიერ მძიმე პირობებში უხდებათ ცხოვრება. მარტო ქმრის
შრომით ოჯახის გაძლოლა ძნელი შეიქნა და ოლია ებმება
მისთვის უჩვეულო მუშაობაში—კერვის და ქარგვის საქმეში.
დღე და ღამე შეუჩერებელი მუშაობდა, ხშირათ ღამეებსაც
ათევდა, ოღონდ ერთად-ერთი მისი საყვარელი შვილი დათი-
კო აღუზარდა და მისთვის სათანადო სწავლა-განათლება მიე-
ცა. ოცდაათი წლის ნემსით მუშაობამ ჯანმრთელობა შეურ-
ყია და გულის ავთმყოფობა დასჩემდა. ავთმყოფს არცერთი
გამოჩენილი ექიმი არ დაკლებია, ქმარი და შვილი თავს ევ-
ლებოდენ, მაგრამ მას ვერ ეშველა—ავთმყოფობამ იგი იმ-
სხვერადა. წავიდა ამა ქვეყნიდან და თან წაიღო ყველას სიყ-
ვარული და საუკუნო ხსენება.

ს. ა.

აკაკი ვალაჯკოჩია.

(1901—1951)

დავკარგეთ მებრძოლი. 3 აპრილს სამუდამოთ შეჩერდა
მგრძობიარე გულწრფელი, ტანჯული გულის ცემა. სულიე-
რათ მალალს და ამაყს, მაგარი ნებისყოფის ადამიანს, ცხოვ-
რებამ ახალგაზღობიდანვე მძიმე ტვირთი აკუთვნა. 16 წლი-
სამ მამა დაკარგა და ოჯახის მორალური პასუხისმგებელი
გახდა. ჯერ კიდევ ახალგაზრდა ის მეგობრების და ჩვენი ამ-
ხანაგების პატივისცემას და ნდობას იმსახურებს. ამ ნდობას
აკაკი ყოველმხრივ ამართლებს. ამიტომ ჩვენი პარტიის გუ-
რიის ცენტრალური კომიტეტი, რომლის წევრი ის იყო, ყვე-
ლაზე უფრო საიდუმლო და საპასუხისმგებლო საქმეებს ან-
დობს—არალეგალურ მუშაობაში. მისი ახალგაზრდა მეგობ-
რები და ამხანაგები ოზურგეთში სახალხოთ დახვრიტეს, ობ-
ოლაძის და ტალახაძის რეპრესიები მის ირგვლივ ტრიალენ-
და, მას გულს უკლავდა და სულს უხუთავდა. ავვისტოს აჯა-
ნყების ხელმძღვანელ ორგანიზაციაში მას საპატიო ადგილი
ეჭირა. აჯანყება დამარცხდა, ის იძულებულია საყვარელი
სამშობლო დასტოვოს, უცხოეთში თავი შეაფაროს. უცხოე-
თის ბუნება მას აწუხებს, ვერ ურიგდება, ვერ იტანს, ის მას
ებრძვის ყოველ მხრივ, ამიტომაც იყო იგი უკმაყოფილო და
ხშირად მადლობასაც უკმაყოფილო ფორმებში გამოხატავ-
და. იშვიათია ადამიანი, რომლისგან მხოლოდ უკმაყოფილება
ისმოდეს და მეგობრებს იგი მაინც უყვარდეს. ეს იყო მხო-
ლოდ აკაკი. 26 მაისის პრინციპების მტკიცე მტარებელს
მუდამ სწამდა ქართველი ერის მომავალი განთავისუფლება.
უკანასკნელ 15 წლის განმავლობაში იგი იყო ს. ს.-დ. პ. საზ-
გარეთელ ბიუროს წევრი. მისი წარსული ბრძოლის მაგალი-
თი წარუშლელი დარჩება მის მეგობრებსა და ამხანაგებში.

ტ. წულაძე.

აკაკი ვადაჭკორიას ხსოვნის აღსანიშნავად,—რედაქციამ მიიღო პარიზის ს.-დ. ორგანიზაციის კომიტეტისგან 2.000 ფრ.

მანვე გადასდო დალუპულ ამხანაგის ხსოვნის აღსანიშნავთ 1.000 ფრ. ქართველ ტუბერ. დამხმარე კომიტეტისთვის.

მადლობის გამოცხადება.

ღრმით დამწუხრებული ქ. გრუნის სავათმყოფოს ექიმი ანტონ ჟორჟოლიანი უღრმეს მადლობას უცხადებს ქართველთა სათვისტომოს წევრებს, ორგანიზაციებს და მეგობრებს, რომელთაც კეთილი ინებეს და თანაგრძნობა გამოუცხადეს მას ძვირფასი მეუღლის დაკარგვის გამო.

ზაქარია გუგულის მოგონება.

პარიზში დაიბეჭდა და გამოვიდა ზაქარია გურულის მოგონება. ზ. გურული ცნობილი პიროვნებაა ქართველი მშრომელი ხალხის მოძრაობაში. ის ეკუთვნის მოწინავე მუშების იმ წრეს, რომელიც მდგომარეობით, შეგნებით, სულით და გულით ქართველ ხალხთან იყო გადამბული და დაკავშირებული. ეს წრე ქართველი მშრომელი ხალხის ინტერესებს უდგა დარაჯათ და მას თავს დასტრიალებდა. ქართველი ხალხიც ამ მის დარაჯებს განუსაზღვრელად ენდობოდა, მისი შვილების რჩევებს ისმენდა და მათ მიყვებოდა. ამ მოწინავე მუშების დიდი დამსახურება იყო ის, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატია მასიური პარტია გახდა და ქართველი ერის დიდი უმრავლესობა მას ემხრობოდა. ზ. გურული ამ მოწინავე მუშების ერთი საუკეთესოთაგანი იყო.

ზაქარია თავის მოგონებაში აღწერს მის მუშაობას და საქმიანობას 1903 წლიდან 1917 წლამდე. როგორც უკეთესი რაიონის მცხოვრები, ის უფრო ვრცლათ ამ რაიონის მშრომელი ხალხის მოძრაობას იგონებს. მაგრამ ზაქარიას ეხედავთ აგრეთვე საქართველოს ყველა დიდ ქალაქებში მისი პარტიის ინსტრუქციებით და დავალებებით გაგზავნილს და ყველგან აქ მისი ყველა დავალებების მტკიცე და ერთგულ ამსრულებელს. ზაქარიას ბაქოშიდაც უხდებოდა მოღვაწეობა და აქაც მისი მუშაობა იყო ისევე ნაყოფიერი, როგორც ყველგან სხვა ადგილებზე. ციხე, გადასახლება, ციმბირი სხვა თავდადებულებებთან ერთად ზაქარიასაც ვერ აცდებოდა და ყოველივე ამას ის აღწერს მის მოგონებაში.

ჩვენი დამოუკიდებლობის ხანიდან ის ეხება სახალხო გვარდიის როლს და მნიშვნელობას ქართველი ერის დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის და გვარდიის ეს როლი და მნიშვნელობა მას მშვენივრად აქვს მოკლეთ და მკაფიოთ აღწერს.

ზაქარია იგონებს ზოგ თავის მეგობარს მოწინავე მუშე-
ბიდან, როგორც, მაგალითად, ბიქტორ კაპანაძეს და ცნობილ
რევოლიუციონერებიდან აფრასიონ მერკვილაძეს და კოლია
ლორთქიფანიძეს. მაგრამ განსაკუთრებით კარგად აქვს აღწე-
რილი ფორმით და შინაარსითაც ქართლის შავი და წითელი
რაზმების ამბები.


ზაქარიას მოგონებას თან ახლავს მისი ახლო მეგობრე-
ბის (გრ. ფხალაძის, ჯ. ასათიანის და შ. აბდუშელიშვილის)
მოგონებანი, რომელნიც ზაქარიას პიროვნებას და მოღვაწე-
ობას ეხებიან. წიგნი კარგათ არის გამოცემული და დიდს
ინტერესით იკითხება. Z.

დახმარება «ჩვენი დროშა»-ს.

მივიღეთ შემოწირულება ჩვენი ჟურნალის გამოსაცემათ.
ქ. სოლოდან ამხ. ილიკო სალუქვაძის მიერ შეგროვილი:
კვერდელიძე დიომიდე, კვარხავა გრიგოლი, სალუქვაძე ილი-
კო თვითელმა 1.000 ფრ., სალუქვაძე ვარდო 500 ფრ., ჟირა-
ქაძე სევერიანე, აბულაძე გიორგი, ქიმერიძე დიმიტრი, გელე-
ნიძე ლუკა თითელმა ორასი ფრანკი. აბულაძე ევტინი, სა-
ლუქვაძე ვალოდია, ფარცხაშვილი პეტრე, გვასალია ვლადი-
მერი, ქუტციკიძე შოთა, ანზულატოს ვასო თითელმა ასი ფრ.
პარიზიდან: ამხ. დ.—საგან 1.000 ფრ., გრ. უჩაძისაგან 1.000 ფრ.
ვ. ჭელიძე, დ. ასათიანი, ვ. ჩუბინიძე, მ. ჩუბინიძე, კოსტავა,
ვ. გაჩეჩილაძე და ქ. თითელმა ასი ფრანკი. მ. ჩუბინიძის შე-
გროვილი 300 ფრანკი.

ლიონიდან ქ. გუნისაგან 1.200 ფრანკი.
ამერიკიდან ამხ. გოლდმანისგან 1 დოლარი.

«ჩვენი დროშა»-ს რედაქცია უზღვის რა მადლობას ყველა
შემომწირველთ კვლავ მოუწოდებს ამხანაგებს და თანაგრძ-
ნობთ—გაიღონ თავიანთი წვლილი რათა შესაძლებელი გახ-
დეს ეროვნულ ბრძოლის ორგანოს შემდეგი ნომრის გამოცემა.



ფული და დასაბეჭდი მასალები უნდა გამოიგზავნოს შემ-
დეგი მისამართით:

P. Sardjveladzé.
35, rue de l'Aude 35. Paris (14)



დაიბეჭდა და გამოვიდა ახალი წიგნი:
ს. გუ რ ე ლ ი.
მ რ ვ რ ნ ე ბ ა
1903—1921 წლამდე.
ამ წინის შექმნა შეიძლება ამ მისამართით:
V. Tchoubinidzé
241, rue Croix Nivert. Paris XV.